საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 20 თებერვალი 1999 №30 (803) | ფასი 50 თეთრი


2

## გაიოზ დარსაძე პრემიერლიგაში



„დერბის" საფეხბურთო აკადემია ქართველ მწვრთნელს სამუშაოდ იწვევს

4

## მორიგი აბსურდული ლაშქრობა პრინცების საუფლოსკენ

FIORENTINA vs ROMA

„ფიორენტინას" მოგება, მოგება და მხოლოდ მოგება სჭირდება გუნდთან, რომლის ქომაგებიც ფლორენციელებს ეჩიზღებათ



7

## ტონგელები ლეგიონერებით და ხელით თამაშით გვაშინებენ

ექსკლუზიური ინტერვიუ ტონგელ მორაგბეთა ნაკრების მრჩეველთან ტევიტა ლატაილაკეპასთან

12

## კიდევ?

კიგანს ნაკრების მწვრთნელობა გაუტკბა

**საქართველოს თასი** მეოთხედფინალის პირველი მატჩები

*დღეს საფეხბურთო სეზონი სანახევროდ განახლდება: 16 პირველჯგუფელიდან რვას ვიხილავთ. უმთავრესი მატჩი „შევარდენზე" გაიმართება: თასის მფლობელ „ბათუმს" ჩემპიონის გამომთიშველი „ლოკომოტივი" უმასპინძლებს.*

იხილეთ მეორე გვერდი

# როდის გავა თბილის — ბათუმის მატარებელი?



1998 წელი. „ლოკომოტივი" — „ბათუმი". წლეულსაც, შარშანდლის მსგავსად, დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## საქართველო — ლატვია

24 თებერვალი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

მსაჯები: რომან რიჟიკი (უკრაინა), იური ლებედევი (რუსეთი)

# ლატვიელებს წარმატებაში ეჭვი არ ეპარებათ, ქართველები კი ჯერაც გუნდს კრებენ

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლოსწინა მატჩში ლატვიელების სამასპინძლოდ ქართველ კალათბურთელთა ნაკრები ჯერაც ჩამოუყალიბებელ-დაუკომპლექტებელია. როგორც გუნდის მეორე მწვრთნელმა, პაატა გურასპაულმა გვითხრა, ნაკრები სავარაუდოდ 22 თებერვლისთვის შეიკრიბება და სპორტის სასახლეში პირველად წაივარჯიშებს სრული შემადგენლობით. კვირა სალამოსთვის სირიულ შეკრებაზე მყოფი ნაკრების წევრ-კანდიდატებიც შინ იქნებიან და ლეგიონერებიცო, გვაიმედებს გურასპაული, არადა, ამ უკანასკნელთა თბილისში ჩამოყვანა ერთხანს სათუოც გახლდათ.

მაშ ასე, მწვრთნელის თქმით, ლატვიელებთან შესახვედრად ეროვნული გუნდი ასეთი შემადგენლობით მოემზადება: *დავით ბერძენიშვილი* („სლოვაკოფარმა" სლოვაკეთი), *ლევან ქარაბაკი, ირაკლი მაისურაძე* (ორივე „ნეფტოხიმავალი" უკრაინა), *ვაკო ბეჟანიშვილი* („ურალ-გრეიტი" რუსეთი), *ვლადიმერ ბოისა* („პოსტონინა" სლოვენია), *რევაზ ჩხეიძე* („ჰაიფა" ისრაელი), *ირაკლი ჯაფარიძე, არჩილ ქლენტი* (ორივე „აზოტი"), *ვასილ ოთიურიძე, გიორგი გავნიძე* (ორივე სტუ), *ირაკლი ხოშტარია* („დინამო"), *მამუკა აბრამიძე* („ვითა"). ამ თორმეტეულს შესაძლოა ირაკლი ვაშაკიძეც დაემატოს, თუმცა საამისოდ მან ფეხის მცირედი ტრავმა უნდა მოიშუშოს. რაც შეეხება ვახტანგ ნაცვლიშვილს, მისი საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა, რადგან ესპანეთის ქალაქ მალაგაში მყოფი კაპიტანი, რომელიც იქაურ კლუბს აწონებს თავს, ჯერჯერობით არც ფედერაციას შეხმიანებია და არც გუნდის ხელმძღვანელობას. ჩვენ კი ვერ ვუკავშირდებითო — ამბობს პაატა გურასპაული.

თუ ქართველთა ბანაკში ჯერაც გაურკვევლობაა, ლატვიელები გუშინდლიდან საგულდაგულოდ შეუდგნენ საამმატჩო სამზადისს. ჩვენი იქაური კოლეგების ცნობით, მთავარ მწვრთნელ იანის ზელტიჩს უკვე ცამეტი კალათბურთელიც შეუკრებია, რომელთაგანაც თბილისში ათს იახლებს: *ჰელმანისი, შნეპსი, ლეტვაგარსი* (სამივე „ბროცენი" ლატვია), *ბუსკევიკსი, ზეიდაკსი, ლაკსა, ბერნააბი, ვიტოლ* (ყველა „ვენტსპილსი" ლატვია), *ლიეპა, იანსო* (ორივე „ლაინერსი" ლატვია), *ბაგატსკისი* („ერიკსონ ბობრი" პოლონეთი), *შტომაცერი* („დალას ზასტალი" პოლონეთი), *მიგლინიეკსი* („ზეპერშლაკი" პოლონეთი).

თავად მწვრთნელი, იანის ზელტიჩი, ამ ციკლის მეორე წრიდან ჩასდგომია ნაკრებს სათავეში და პირველივე მატჩში მრისხანე იტალიის ძლევით ტრაბახობს. მართალია, ლატვიელები მომდევნო შეხვედრებში თურქეთთან და ჩეხეთთან დამარცხდნენ, რითაც საბოლოოდ გადაეწურათ მომდევნო წრეში გასვლის იმედი, მაგრამ ზელტიჩს მდგომარეობის შედარებით გამოსწორება დარჩენილი ორი მატჩის მოგებით განუზრახავს. საქართველოსა და შემდეგ შვედეთის დამარცხება ლატვიელებს ჯგუფში საუკეთესო ოთხეულში ადგილს დაუბევებს, რითაც მომდევნო გათამაშებაში საკვალიფიკაციოსწინა ეტაპში მონაწილეობას თავიდან აიცილებენ.

ვიცი, თბილისში ურთულესი მატჩი გველის, მაგრამ დღესდღეობით ქართველთა გუნდს ნაღდად ვჯობივართ და წარმატებაში ეჭვი არ მეპარებაო — უთქვამს ზელტიჩს პრესკონფერენციაზე იქაური ჟურნალისტებისთვის.

ჩვენთან შეხვედრამდე მეტოქე საკონტროლო მატჩსაც გეგმავს ლატვიური კლუბების ნაკრებთან, რომელსაც სავარაუდოდ დღეს უნდა შეხვდეს.

ორშაბათს კი, გვიან ღამით, ლატვიელები რიგა-ლონდონი-თბილისის ავიარეისს ჩამოჰყვებიან.

**გიორგი ბიჭაშვილი**

# როდის გავა თბილის — ბათუმის მატარებელი?

თბილისი. „შევარდენი". 20 თებერვალი. 15 საათი

## ლოკომოტივი — ბათუმი

**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ს. კახიანი (თბილისი); ს. შალამბერიძე (თბილისი)
**ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დელეგატი:** მ. ანჯაფარიძე

**რა ხანია,** თბილისის „ლოკომოტივს" გორი — თბილისის მატარებლად მოვიხსენიებთ. წინა შემოდგომიდან მოყოლებული რკინიგზელთა გუნდში გორელმა და თბილისელმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. ეს შერქმეული სახელიც აქედანაა, მაგრამ რა შუაშია თბილის — ბათუმის მატარებელი?...

საცოდაობა იქნება, ამ წყვილის გამარჯვებულმა ფინალში რომ ვერ გაალწიოს. ეს ან კენჭისყრის უკულმართობით უნდა მოხდეს, ანაც რომელიმე, შედარებით სუსტმა მეტოქემ მოიქაჩლოს თავი.

სახუმარო საქმე არაა. ჩემპიონის მძლეველი თასის მფლობელის წინააღმდეგ: „ლოკომოტივი" — „ბათუმი". დღეს „შევარდენის" სტადიონი უეჭველად შეივსება. იქ, სადაც თებერვლის ბოლოდან აწ უკვე მცხეთამოვლილი თსუ უნდა დაბრუნდეს, ხასხასა მინდორს „დიდი ომიანობა" გადათელავს.

ვაკის „26 მაისის" სტადიონს, კარგა ხანია, მინდორს უწუნებენ. რკინიგზელებს ბალახი ხელახლა დაუთესავთ და ჯერ იქ თამაშს მორიდებიან. სამაგიეროდ, „შევარდენი" ანეულივით ნასვენებია და წლეულს ვინც იხილა, ნავთლუღში ბურთაობას არაფერი სჯობსო.

„ლოკომოტივი" საკუთარ ასპარეზს კი მოუფრთხილდა, მაგრამ აქედანვე ცხადია, „ბათუმს" არ დაინდობს. ის, ვინც ჩემპიონს არ შეუშინდა და სათასო ბრძოლას გამოეთიშა, არც თასის მფლობელს მოერიდება. თუმცა რკინიგზელები დედაქალაქის სტუმრებს ერთში კი უშეღავათებენ. დღეს თბილის — ბათუმის მატარებელი, ნაცვლად 17.55-ისა, საათის დაგვიანებით გავა. რომ არ აჩქარდეთ, თამაშის შემდეგ მოწესრიგებაც უფაციფუცოდ მოასწროთ, თქვენი ხათრით რეისს დავაკავებთო. ჭეშმარიტად შალიკო ხვინგიაძის სადარი საქციელია. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი მატარებელთა მოძრაობის განრიგი არც თასის მფლობელისთვის უნდა ირეოდეს და არც არავისთვის, თუ გვსურს, ქვეყანას წესრიგი მართავდეს.

ახლა სხვა წინასამატჩო პერიპეტიებზეც ვთქვათ. „ლოკომოტივ" — „ბათუმის" წყვილს ხომ ინტრიგას ორი მოაზროვნე ქართველი მწვრთნელის დაპირისპირება სძენს. თემურ მახარაძე და შოთა ჭეიშვილი ოდინდელი მეგობრებიც არიან — წლობით ერთად უმუშავიათ.

ჭეიშვილი დღეს მახარაძის წინააღმდეგ მის მოგვარე კაპიტანს ვერ ათამაშებს. ბათუმელთა ლიბერო შეუძლოდ ყოფილა და გუნდს მხოლოდ ტრიბუნიდან თუ უქმაგებს. ზღვისპირელებმა თბილისში ვერც ნიგერიელი ლეგიონერი უჩ უვაკვე იახლეს — მას ერთი თვე მაინც დასჭირდება, რომ მომაგრდეს და გუნდს მოერგოსო. სამაგიეროდ, განსაკუთრებით კარგ ფორმაში ყოფილან გუნდის ბომბარდირი პაატა მაჭუტაძე, გამთამაშებელი ალექსანდრე კანტიძე და წლეულს დამატებული გოჩა გუჯაბიძე, რომელიც, ალბათ, მახარაძის არყოფნაში დაცვას უხელმძღვანელებს. აჭარელთა ბანაკში სხვა დანაკლისიცაა, თუმცა ეს არახალია — დავით ჭიჭვეიშვილი ჯერაც გასინჯვაზეა მოსკოვურ „სპარტაკში", თემურ ტუღუში კი ბელგიურ ტურნეში თბილისის „დინამოს" ახლავს, სანაცვლოდ „ბათუმმა" ჩემპიონისგან ივანე მახარაძე დაიბრუნა.

ერთი შეხედვით შემადგენლობის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს თემურ მახარაძეს, მის გუნდში 34(!) ჯანმრთელი ფეხბურთელი ვარჯიშობს, მაგრამ მწვრთნელის პრობლემაც სწორედ ის ყოფილა, სადღეისოდ ვინ აარჩიოს. ასე რომ, შემადგენლობის გამოცნობაზე შოთა ჭეიშვილმა თავი არ უნდა იმტვრიოს, რადგან იგი ამ დილამდე მისი კოლეგისთვისაც ბურუსით მოცული გახლდათ.

გადაწყვეტილი, ალბათ, ერთია — „გორდას" ყოფილი ლიდერი ვარლამ კილასონია, რომელმაც რკინიგზელებთან კონტრაქტს ამ კვირაში მოაწერა ხელი, „ლოკომოტივის" თავდასხმას გააძლიერებს.

ერთი სიტყვით, „შევარდენზე" წასვლა დღეს ნამდვილად ღირს და ვინც არ დაიზარებს, უკმაყოფილო არ უნდა დარჩეს.



თემურ მახარაძეს სადღეისო არჩევანი ძალიან გაუჭირდა

ქუთაისი. „გივი კილაძე". 20 თებერვალი. 15 საათი

## ტორპედო — გორდა

**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
**ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი; **დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

**ერთადერთი** სტუმარი, რომელიც მატჩის ადგილს გუშინ ვერ ეწვია, რუსთავის „გორდაა". რამდენი ხნით ადრე მიდიხართ ქუთაისშიო, რომ ვკითხეთ „გორდას" თავკაც იასონ ალადაშვილს, მეხუმრებით — ნეტავ კი მატჩზე დროულად ჩამასწრებინაო.

თუ ვინმე თასის მეოთხედფინალისტთაგან დასუსტებულა, უპირველესად „გორდა". ვარლამ კილასონია — „ლოკომოტივში", ბურნაძე — „სამგურალში", კახა ალადაშვილი „ვიტ ჯორჯიაში" და ვილა დარჩათ ისედაც სუსტ რუსთაველებს?

„გორდას" სავარაუდო შემადგენლობა კი დავადგინეთ, მაგრამ ორი-სამი მოთამაშის მეტს ვერც ამოიცნობთ და ზედმეტსიტყვაობით არც ჩვენ დავიხარჯებით.

თქვენ წარმოიდგინეთ, უპრობლემოდ არც მშვენიერშეკრებაგავლილი „ტორპედოა". არა, თურქეთში დაშავებული დავით ჯანაშია კი მოკეთდა და დღესაც ითამაშებს, მაგრამ ქუთაისელებს ვარჯიშისას დაშავებული გამთამაშებელი კახა კვეტენაძე არ ეყოლებათ. ვის განაწესებს „ტორპედოს" თავკაცი თამაშის დამლაგებლად, მისი გადასაწყვეტია, მაგრამ რაც მთავარია, არჩევანი საკმაო აქვს — კახა კვეტენაძე, ვახტანგ თურმანიძე და „სიონიდან" შემატებული გიორგი მაზანაშვილი.

ქუთაისელთა დაცვაშიც დასაფიქრებელი ხალხმრავლობაა — ხვადაგიანი, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე და ახვლედიანი.

*დღეს საქართველოს თასის მეოთხედფინალია. ისტორიული, პირველი „უდინამოო" მეოთხედფინალი. სადღეისოდ გასაკვირი არც ახალი მოულოდნელობანი იქნება — სათასო ბრძოლა ხომ სულ სხვაა. აქ სანადელის მიღწევა ფრეებით ან სულაც უგოლოდ შეიძლება — ისე, როგორც ეს „დინამოსთან" პენალტების სერიით გამარჯვებულმა „ლოკომოტივმა" შეძლო. დღევანდელ მატჩებს გუნდები სუფთად შეხვდებიან, გაუქმებულია ყველა ყვითელ-წითელი ბარათი. გუნდიდან გუნდში გადასულ მოთამაშეთაც, აღიარებული სათასო პრინციპის საწინააღმდეგოდ, ახალ კლუბში თამაშის უფლება დაუკანონა ახალმა ფედერაციამ.*



ალბათ დღესაც ასე იქნება: „ტორპედო" ახალგაზრდა ბედიაშვილის კარს შეუტევს

მცხეთა. „არმაზი". 20 თებერვალი. 15 საათი

## ვიტ ჯორჯია — სამგურალი

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
**ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი; **დელეგატი:** ი. რუხაძე

**წყალტუბოელთა** დელეგაცია, თბილისს გუშინ, ნაშუადღევს რომ ეწვია, ერთმა მიკროავტობუსმა დაიტია. 16 საათისთვის, ანუ 2 საათის დაგვიანებით, ზუსტად 11 სამგურალელი მოადგა ეროვნული სტადიონის სათადარიგო, წიდიან სარბიელს. იქ, სადაც „ვიტ ჯორჯია" ვარჯიშს ამთავრებდა, იმერლებს თანაგუნდელები და კიდევ საკმაოდ აფორიაქებული მწვრთნელი დახვდათ. გაიოზ დარსაძე, მეკარე ზვიად ხაჩირაშვილი და ნახევარმცველი კახა ახალაძე ვიტელთა ვარჯიშს თვალის კუთხით უცქერდნენ, რადგან თანაგუნდელთა გულისგამაწვრილებელი მოლოდინი კარგა ხანს გაგრძელდა. სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ დარსაძეს საფიქრალი მომატებოდა. მაღალ ტემპერატურას ლოგინად ჩაუგდია გუნდის კაპიტანი მიხეილ მახვილაძე, ახალშეძენილი ლიბერო სანდრო ბურნაძე და გამთამაშებელი გია კილასონია. ეს სამი კაცი „სამგურალის" ხერხემალია, მაგრამ მისი თავიც რომ სუსტადაა.გაიოზ დარსაძე „უფსას" „უფსაზე" სვამდა და მოუთმენლად ელოდა გუნდის გამოჩენას, ემანდ სხვები მაინც ხომ ჯანზე არიანო. შუა ვარჯიშისას, რომელსაც ახლა ვიტელები შესცქეროდნენ, „სამგურალს" სამარქაფო საყრდენი შიო დარსაძე გამოაკლდა. ერთი სიტყვით, წყალტუბოელებს გრიპმა დარიათ ხელი და ღმერთმა ნუ ქნას, ასე გაგრძელდეს, თორემ მცხეთაში დღეს მატჩი ვერ შედგება. ისე, სიფრთხილე ვიტელებსაც მართებთ, ისინი ხომ სწორედ იმ სასტუმროში ცხოვრობენ, სადაც „სამგურალი" დასახლდა. თბილისელები დიდუბის მძლეოსნობის მანეჟის სასტუმროს მეორე სართულზე გამაგრებულან, წყალტუბოელები — ერთი სართულით ზევით. უდანაკლისოდ არც „ვიტ ჯორჯიასთვის" ჩაუვლია მოსამზადებელ პერიოდს. მათ ოთხთავა კუნთდაშავებული მარცხენა მცველი ჯაბა მუჯირი სამ კვირას მაინც არ ეყოლებათ. დიდი ძალა დააკლდათ ვეტერინარებს რიგის „სკონტოში" გადაბარგებული ზურაბ მენთეშაშვილის სახით, რომლის მაგივრობას, ალბათ, „გორდადან" დამატებული კახა ალადაშვილი გასწევს. მუჯირის ნაცვლად კი დაცვაში ყოფილი დინამოელი რევაზ ქემოკლიძე ითამაშებს, რომელსაც დაცვის ცენტრში სასჯელაყრილი გიორგი ჭანკოტაძე შეეწყვილება.

მთლად ხელჩაქნეული არც „სამგურალია". „კოლხეთიდან" სწორედ ამ დღეებში დაბრუნებულმა ირაკლი გიორგობიანმა და გიორგი სუხიაშვილმა მას სულზე მიუსწრეს. დღეს უეჭველად ითამაშებს ბელარუსიდან ჩამოსული მალხაზ ვოსკანოვიც, რომლის ტრანსფერის საკითხი მოზირის მპკც-სთან უკვე მოგვარებულია.

თბილისი. „ისანი". 20 თებერვალი. 15 საათი

## არსენალი — მერანი

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

**ავლაბარში,** „ისნის" სტადიონზე, ახალი კარები ჩაუდგამთ. ძველი მთელი ათი სანტიმეტრით დაბალი იყოო, ხუმრობით თუ სერიოზულად თქვა ერთმა. ეგებ ახლა უფრო ხშირად დალაშქრონ „არსენალის" თავდამსხმელებმა მეტოქის კარი, რომელსაც პირველ წრეში ათიდან 9 დარტყმისას მაინც აცილებდნენ.

მრისხანე ბომბარდირებით ვერც „მერანი" იკვეხნის — ამ გუნდს 8 ტურში გოლი არ გაუტანია. ახლა თავდამსხმელი სულიკო დავითაშვილიც აკლია და დაცვის ბურჯი — იაროსლავის „შინიკში" გადასული გიორგი დავითნიძეც. „მარგვეთში" დაბრუნდა მირიან გეწაძეც, ხოლო გელა ქორიძის „მერანში" დარჩენა-არდარჩენის საკითხი დღემდე გაურკვეველია. სამაგიერო შევსება არცთუ შთამბეჭდავია — სამგურალელი მცველი დავით ჭელიძე, წყალტუბოელთავე სათადარიგო ნახევარმცველი თემურ უგულავა და „ოდიშიდან" თავდახსნილი თავდამსხმელი ლევან თოლორდავა.

სამაგიეროდ, „არსენალი" მოძლიერდა ყოფილი თსუ-ელის ვლადიმერ კაკუბავას და მრეტყოფილ გიორგი ირემაშვილის დამატებით.

# დარსაძე პრემიერლიგაში


გაიოზ დარსაძე

გურამ ციციშვილის ფოტო

„ДЕРБИ ქАУНТИ“ — „დერბი ქაუნთი“ თქვენთან თანამშრომლობის მოხარული იქნება. უმჯობესია, გარკვეული დროით ჩვენთან ჩამოხვიდეთ და სამომავლო გეგმები ერთად დავსახოთ — ეს ციტატა ამას წინათ ინგლისიდან გამოგზავნილი ფაქსიდანაა. იგი წყალტუბოს „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელის, გაიოზ დარსაძის სახელზეა მოსული. სათანამშრომლოდ კი ქართველ სპეციალისტს პრემიერლიგის ცნობილი კლუბის, „დერბი ქაუნთის“ საფეხბურთო აკადემიის დირექტორი ჯონ პიკოკი იწვევს.

ამ აკადემიას ინგლისში დიდი ტრადიციები ჰქონია და მასში რამდენიმე ასაკის კლუბი ყოფილა გაერთიანებული, მათ შორის პრემიერლიგული „დერბიც“. აკადემიაში წლეულს სერიოზული რეორგანიზაცია მიმდინარეობს, პიკოკი ახალი მწვრთნელების და ფეხბურთელების ძიებაში ყოფილა და, როგორც ჩანს, ქართველი სპეციალისტიც ამიტომ გახსენებია. პატივცემულ ბრიტანელს დარსაძესთან კარგი ნაცნობობა აკავშირებს. წყალტუბოელთა თავკაცი ხომ ერთადერთი ლიცენზირებული ქართველი მწვრთნელია და უცხოეთში გამართულ მწვრთნელთა სემინარიებსაც რეგულარულად ესწრება.

ასე რომ, ინგლისელებმა ქართველ მწვრთნელს სერიოზული წინადადება შესთავაზეს და სავარაუდოდ სეზონის ბოლოს დარსაძეც ალბიონზე გაემგზავრება, მანამდე კი „სამგურალში“ განაგრძობს მუშაობას და დღეს თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრას „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ, უცხოელთა წინადადებით განწყობაამაღლებული შეხვდება.

**პაატა ქვანტალიანი**

# რომელი? აა, ლომელი?!

თბილისის „დინამოს“ ბელგიაში შეკრების შესახებ ხუთშაბათის „სარბიელში“ გამცნეთ. უამინდობით დაღონებულმა საქართველოს ჩემპიონებმა დარბაზში ვარჯიშების შემდეგ თოვლიან მოედნებზე სამი საკონტროლო მატჩი გამართეს. მესამე ლიგის ერთ-ერთ ბინადართან 0:1 წაგებით განაწყენებულმა პირველლიგელ „ლიერსზე“ და „ვესტერლოზე“ იყარეს ჯავრი — 1:0, 3:0.

ვესტერლოში დაბანაკებულებს 18 თებერვალს კიდევ ერთი შეხვედრა უნდა ეთამაშათ და, ბუნებრივია, ჩვენმა სატელეფონო კავშირმაც არ დააყოვნა. ამჯერადაც დინამოელ მიხეილ ასათიანს შევეხმიანეთ.

**— როგორ მორჩა მორიგი მატჩი?**

— 0:3 წავაგეთ...

**— ვისთან?**

— აი, იმ გუნდთან, ქუთაისის „ტორპედო“ ინტერტოტოდან რომ გამოაგდო. „ლომელმა“ მოგვიგო.

**— თვით თამაშზე რას გვეტყვი?**

— კარგს ვერაფერს. უსუსურად გამოვიყურებოდით. ბელგიელებმა აშკარად გვაჯობეს. მიხეილ აშვეთიამ თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა, თორემ დიდი ანგარიშით წაგებას გადავრჩებოდით.

**— როგორი ამინდებია?**

— ვესტერლოში წვიმებია. თოვლი აღარ არის.

**— კიდევ ვის უნდა გაეჯიბროთ?**

— 22 და 23 თებერვალს გვაქვს დაგეგმილი ორი შეხვედრა. კონკრეტულად რომელ გუნდებთან, ჯერ არ ვიცი.

მაინც რა გახდა ეს „ლომელი“. ჯერ იყო და ინტერტოტოს გათამაშებაში უკვე „საჟერდეროდ“ გამზადებულ ტორპედოელებს გადაასხა ცივი წყალი, ახლა კი საქართველოს მარადი ჩემპიონები წვიმაში მშრალზე დატოვა. ამ შეხვედრას ორმაგი ინტრიგა ახლდა თან. თუ „დინამო“ „ლომელს“ დაამარცხებდა, თავისთავად ამოიყრიდა „ტორპედოს“ ჯავრს. შურისძიება ამოძრავებდათ ყოფილ ტორპედოელებს, დინამოელ პაატა ჯინჭარაძესა და ირაკლი ვაშაკიძესაც, მაგრამ... შედეგად ორმაგი გაწბილება მივიღეთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# კოლხეთი ფოთში ბრუნდება

მაკედონიურმა „ვარდარმა“ ჭირი მოგჭამათ. ბულგარეთში მყოფმა ფოთის „კოლხეთმა“ კი ბოლო საკონტროლო ამხანაგური მატჩი გამართა. ადრე გაუწყებდით, ფოთელები მაკედონიელებს უეჭველად გაეჯიბრებიანო.

გაჯიბრება კარგია, მაგრამ საქმე რომ უკეთ მოაკვარახჭინო, ფხა უნდა გამოიჩინო. „ვარდარი“ ბულგარეთში ნამდვილად იყო, მაგრამ ჩვენებთან თამაში არ ისურვა, უფრო ძლიერ სპარინგ-პარტნიორებს ვეძებთო. ამიტომაც იყო, რომ ბალკანელები იქიდან კიდევ ერთ შეკრებაზე გაემგზავრნენ.

„ვარდართან“ რომ არაფერი გამოუვიდათ, ფოთელებმა სხვა მეტოქე გამონახეს. იგი მოლდოვის 1997 წლის ჩემპიონი კიშინიოვის „კონსტრუქტორული“ აღმოჩნდა. როგორც „კოლხეთის“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა, ლევან შავგულიძემ გვითხრა, თავიდანვე გასჭირვებიათ მოლდოველებთან, მაგრამ მერე მომენტებიც საკმაოზე მეტად შეუქმნიათ, თუმცა გოლის გატანა ვერც ერთ მხარეს ვერ მოუხერხებია და მატჩიც ფრედ 0:0 დასრულებულა. შეხვედრა „კოლხეთმა“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ჩემია, ტორჩინავა, გიორგაძე, გოროზია, ებრალიძე, ქობულაძე, კალანდაძე, ღლანიძე, თედეევი (ანჯაფარიძე), შავგულიძე, გვასალია (ბულუხია).

შავგულიძეს უკრაინულ „სტალთან“ ამტყდარ ჩხუბზეც ვკითხეთ. საშინელი მსაჯობა იყო, ათასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს, ამას უკრაინელთა უხეშობაც დაემატა და ვერც ჩვენ მოვთოკეთ ნერვებიო.

„კონსტრუქტორულთან“ შეხვედრა ბოლო აღმოჩნდა ფოთელთათვის. მათ ბულგარულ „ვარნის„ სპარტაკთან“ სპარინგიც ჩაეშალათ და გუშინ დილით სამშობლოში გამობრუნდნენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# დავითის ახალი სარბიელი

თბილისის „დინამოდან“ ოკეანისგაღმა გადახვეწილი დავით მუჯირი თავის ახალ კლუბთან ერთად მექსიკურ შეკრებაზე რომ გაეშურა, ადრეც გამცნეთ. ბუნებრივია, ბორა მილუტინოვიჩი „მეტროსტარზს“ ამხელა გზას მხოლოდ სარბენად არ გაუყენებდა. ნიუიორკელებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართეს, ჩვენებურიც ორივეში მონაწილეობდა.

პირველად მუმუ 16 თებერვალს დაუპირისპირდა მექსიკის პირველი დივიზიონის ერთ-ერთ კლუბს. დათო მწვრთნელმა თავდასხმაში გაამწესა და ასევე ახალწვეული, „კანზას სიტიდან“ გადაყვანილი მარკ ჩანგი შეუწყვილა. მუჯირმა მინდორზე 45 წუთი დაჰყო, მერე კი მილუტინოვიჩმა სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა.

მუმუ გუშინაც ძირითადში გამოვიდა. ამჯერადაც „მეტროსტარზის“ მოწინააღმდეგე მექსიკის პირველი დივიზიონის „ჩავესი“ გახლდათ. დათო ისევ თავდასხმაში იყო ჩანგთან ერთად, რომლის ორმა გოლმაც ამერიკელები წაგებისგან იხსნა. არადა, თავიდან 0:2-ს აგებდნენ.

სხვათა შორის, მუმუმ ოთხტაიმიან მატჩში, რომლებიც 30-30 წუთს გაგრძელდა, ორი ტაიმი ითამაშა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურს ბორა მილუტინოვიჩი ენდობა და გუნდის ძირითადშიც გაამწესებს ხოლმე, მისი საკითხი საბოლოოდ მაინც არ გარკვეულა. ამერიკელები დათოს ჯერაც აკვირდებიან და მოლაპარაკებებს შეკრების დამთავრების შემდეგ დაუსვამენ წერტილს. ასეთია „მეტროსტარზის“ ხელმძღვანელთა პოზიცია. მანამდე კი მუმუ ვარჯიშობს, ამერიკულ გუნდში დებიუტიც ჰქონდა და მილუტინოვიჩს უშუალოდ მინდორზე, თამაშისას დაანახა, რაც ძალუძს. ახლა ბოლო სიტყვა თავად მწვრთნელზეა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# რას დაგითმობს ვანელი?!

როგორც ჩანს, მეორე ჯგუფის დასავლეთი ზონის „ა“ ქვეჯგუფში პირველი ადგილისათვის დიდი ბრძოლა გაჩაღდება და აქ გამარჯვებულს უთუოდ შემოდგომაზე დაწინაურებულთა საგაზაფხულო ურთიერთშეხვედრები გამოავლენს. ვანის „სულორი“, ზესტაფონის „მარგვეთი“, ტყიბულის „მეშახტე“. ახლავე შეიძლება ითქვას, სხვა გუნდები ამათ ვერ შეეცილებიან. გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში ახლა ასეთი სიტუაციაა. „სულორს“ 34 ქულა აქვს და ორი ქულით უსწრებს „მარგვეთს“. „მეშახტე“ კი ზესტაფონელებს 4 ქულით ჩამორჩება. ტყიბულელთა შანსები თითქოს მოკრძალებულია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი მეორე წრეში ორივე კონკურენტს შინ ეთამაშებიან. „მარგვეთს“ ვანშიც უწევს ჩასვლა.

„მარგვეთი“, რომელიც შარშან დაეთხოვა პირველ ჯგუფს, სერიოზულად ფიქრობს უკან დაბრუნებაზე. ზესტაფონელთა პრეზიდენტმა ვასილ ხაჭაპურიძემ ჩვეული შემართებით მოჰკიდა საქმეს ხელი და გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავს, რის შესახებ ამასწინათ ვწერდით კიდევაც. ამჯერად „სულორზე“ გვინდა ვთქვათ. ერთი ხანობა ხმა დაირხა, გუნდები მორიგდნენ და ვანელები ზესტაფონელებს პირველობას უთმობენო. ჭორი უნდა იყოს. ჯერ ერთი, ვანელები რისი დამთმობნიც არიან, ყველამ იცის (ეს ხუმრობით) და, მეორეც, ზესტაფონელთა დარად „სულორიც“ ძლიერდება სამეორწრეოდ და ეს კიდევ უფრო საეჭვოს ხდის გარიგების ამბავს. ჩვენი მონაცემებით, ვანელთა თავდასხმას პირველ წრეში წყალტუბოს „სამგურალის“ მეგოლე თემურ ფაიქიძე შეემატება. ნახევარდაცვას სამტრედიის „იბერიიდან“ წამოსული, „სულორში“ ადრე ნათამაშევი გოჩა ბრეგვაძე გააძლიერებს. საუბარია კიდევ ერთ ექსიბერიელ — ტორპედოელის დამატებაზე. ვანელებს კობა სადილიანის ხილვაც სურთ თავიანთ გუნდში.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** სატელევიზიო კომპანია „CANAL+“-მა ქვეყნის ხუთ კლუბთან — „მარსელთან“, „ლიონთან“, „მონაკოსთან“, „ლანსთან“ და პსჟ-სთან კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც ტელეკომპანიას უფლება მიეცა, ამ გუნდების მატჩების პირდაპირი ტრანსლაციები აწარმოოს. გარდა ამისა, „CANAL+"-ს მათი ევროტურნირების შეხვედრებისა და ამხანაგური თამაშების ტელეტრანსლირების უფლებაც აქვს.

**არგენტინის** 21-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე ალბანო ბისარი, როგორც იქნა, ჩავიდა მადრიდში და უახლოეს მომავალში შესაძლოა „რეალის“ შემადგენლობაში ითამაშოს. სამეფო კლუბმა არგენტინელი სატრანსფერო სეზონისას გადაიბირა, თუმცა ალბანოს ძველი კლუბის, „რეალ ეველენდას“ თხოვნით, იგი აქამდე სამშობლოში თამაშობდა. „რეალში“ დღესდღეობით მეკარეთა კრიზისია და ბისარიც ამიტომ შეიძინეს. მიუხედავად იმისა, რომ იგი „რეალის“ მესამე გოლკიპერად გაფორმდება, შეიძლება მოსალოდნელზე ადრე დაიცვას გუნდის კარი, „რეალის“ ძირითადი მეკარე, გერმანელი ბოდო ილგნერი მხრის ტრავმისგან ვერა და ვერ განიკურნა, მისი შემცვლელი პედრო კონტრერასი კი მაინცდამაინც საიმედოდ ვერ თამაშობს. ბოლო ორ შეხვედრაში კონტრერასმა ხუთი გოლი გაუშვა.

**ესპანეთის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, „ვალიადოლიდის“ ნახევარმცველი, ეუსებიოდ ცნობილი ეუსებიო საკრისტან მენა ოთხშაბათის ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა — თანაკლუბელ, სერბიელ დრაგან ისაილოვიჩთან ორთაბრძოლისას მარჯვენა ფეხი მოიტეხა. „ვალიადოლიდის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ეუსებიო ოთხ თვეს ველარ ითამაშებს და მისთვის მიმდინარე სეზონი, ალბათ, დასრულდა კიდეც. 1988-95 წლებში „ბარსელონაში“ თამაშობდა, სადაც ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი, თასის, ესპანეთის სუპერთასის სამგზის, ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასის მფლობელი გახდა. სწორედ იმ ხანებში იწვევდნენ ეუსებიოს ქვეყნის პირველ გუნდში, სადაც მან საერთო ჯამში 15-ჯერ ითამაშა.

**ინგლისის** ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა „ლივერპულმა“ 18 წლის ფრანგი ფეხბურთელი ჯიმი ტრაორე შეიძინა. ლივერპულელებმა მის გუნდს, მეორე დივიზიონის „ლავალს“ 900 ათასი გირვანქა გადაუხადეს. ტრაორეს ახალი კონტრაქტი სამწლიანია, თუმცა მასავით ახალწვეული ნორვეგიელის, ფროდ კრიპეს დარად, ჯერჯერობით მეორე გუნდში მოუწევს თამაში. „ის ნიჭიერი და დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია. „ლივერპულს“ იგი აუცილებლად გამოადგება“ — განაცხადა ენფილდროუდელთა ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ. ტრაორე საფრანგეთის 18-წლამდელთა გუნდში სწორედ ულიეს მეთვალყურეობით თამაშობდა.

**იაპონიის** ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა კაზუიოში მიურამ ახალი კლუბის, ზაგრების „კროაციას“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა. ხორვატიის ჩემპიონატის მეორე წრე სწორედ რამდენიმე დღის წინ განახლდა. „კროაციამ“ „მლადოსტ 127“ დაამარცხა, მიურამ კი დებიუტი გაცუდებული პენალტით აღნიშნა. მიუხედავად ამისა, მან თანაგუნდელებს ორი გოლი გაატანინა. კაზუიოში მიურას იაპონიის ნაკრებში ნათამაშევ 86 მატჩში 56 ბურთი შეუგდია.

**ნიგერიელმა** ფეხბურთელმა ჯორჯ ფინიდიმ თავის კლუბ „ბეტისთან“ ახალი სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და სევილიურ გუნდში 2004 წლამდე დარჩება. გუნდის ხელმძღვანელობამ, ისევე, როგორც თავად მოთამაშემ, ახალი კონტრაქტის ფინანსურ მხარეზე საუბრისგან თავი შეიკავეს. მას შემდეგ, რაც 1996 წლის ზაფხულში ჯორჯ ფინიდი ამსტერდამის „აიაქსიდან“ „ბეტისში“ გადავიდა, იგი ესპანურ კლუბში ძალიან პოპულარული გახდა. მიუხედავად ამისა, ფინიდის ყველა ტიტული ჰოლანდიურ გუნდში აქვს მოპოვებული. „აიაქსის“ შემადგენლობაში ის სამჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, ხოლო 1995 წელს ჩემპიონთა, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასები მოიგო.

**არგენტინელი** თავდამსხმელი პაბლო არიელ პას გალო დაახლოებით თვენახევარით დაემშვიდობა ფეხბურთს. ესპანეთის „ტენერიფეს“ ფორვარდმა პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში, შინ „ოვიედოსთან“ 0:2 წაგებულ შეხვედრაში მარჯვენა მუხლის მყესები დაიზიანა. მათ აღსადგენად კი თვენახევარია საჭირო. 26 წლის ფეხბურთელის არყოფნა „ტენერიფესთვის“ დიდი დანაკლისია. კანარის კუნძულების კლუბში პაბლო პასი უკვე მესამე სეზონია, რაც თამაშობს. სხვათა შორის, იგი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორია.

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, „მარსელის“ მწვრთნელმა როლან კურბისმა განაცხადა, რომ იგი მზადაა, გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს. ფრანგულ პრესაში უკვე გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ „მარსელის“ ხელმძღვანელობა კურბისს ხუთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობს. ამის თაობაზე არც მწვრთნელს და არც გუნდის წარმომადგენლებს არაფერი უთქვამთ. „მე მიყვარს მარსელი და ძალიან მინდა, კლუბთან ერთად დავრჩე“ — განაცხადა კურბისმა.

**ესპანეთის** 1996 წლის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა მადრიდის „ატლეტიკომ“ განაცხადა, რომ სურს, გუნდიდან წასული იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი არგენტინის ნაკრების ყოფილი თავკაცით, დანიელ ალბერტო პასარელათი შეცვალოს. მადრიდელთა გუნდის წარმომადგენლები პასარელასთან მოსალაპარაკებლად უკვე გაფრენილან არგენტინაში. ჯერჯერობით „ატლეტიკოს“ დროებით კარლოს აგუიარი ხელმძღვანელობს. შეგახსენებთ, რომ პასარელა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინის ნაკრებს კაპიტნობდა. 1986-შიც ასევე მსოფლიოს ჩემპიონ გუნდში იყო, მაგრამ ტურნირზე არ უთამაშია.

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა შტეფან ეფენბერგმა მხარი დაუჭირა ფიფას პრეზიდენტის, ზეპ ბლატერის იდეას მსოფლიოს ჩემპიონატის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გამართვის შესახებ. მიუნხენის „ბაიერნის“ 30 წლის ნახევარმცველმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში ყოველ მეორე წელს თამაში ფეხბურთელებისთვისაც კარგი იქნება და მაყურებლებისთვისაც სასიამოვნო. „ხალხი წლობით ელოდება უდიდეს საფეხბურთო ტურნირს. ხანდახან ლოდინი დიდხანს გრძელდება. განა არ სჯობს, მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიმართოს?“ — იკითხა ეფენბერგმა. სხვათა შორის, მას მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთადერთხელ, 1994 წელს უთამაშია და მაშინაც უხამსობის გამო გააგდეს ნაკრებიდან.

**სარბიელის** საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# მორიგი აბსურდული ლაშქრობა პრინცების საუფლოსკენ

## FIORENTINA vs ROMA

**ფიორენტინა**

დაარსდა 1926 წლის 26 აგვისტოს ფლორენციის ორი გუნდის, „კლუბ სპორტივო ფირენცესა“ და „პალესტრა ჯინასტიკა ლიბერტას“ გაერთიანების შედეგად.
იტალიის ჩემპიონი: 1956, 1969
იტალიის თასის მფლობელი: 1940, 1961, 1966, 1975, 1996
თასების თასის მფლობელი: 1961
სტადიონი: „არტემიო ფრანკი“ — 47 282 მაყურებელი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: ჯანკარლო ანტონიონი — 341
ყველაზე მეტი გოლი: კურტ ჰამრინი — 151

**რომა**

დაარსდა 1927 წლის ივლისში სამი რომაული გუნდის, „ალბას“, „ფორტიტუდოსა“ და „რომანის“ გაერთიანების შედეგად.
იტალიის ჩემპიონი: 1942, 1983
იტალიის თასის მფლობელი: 1964, 1969, 1980, 1981, 1984, 1986, 1991
ბაზრობათა (იგივე უეფას) თასის მფლობელი: 1961
სტადიონი: „სტადიო ოლიმპიკო“ — 82 922 მაყურებელი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
ყველაზე მეტი მატჩი ლიგაში: ჯაკომო ლოზი — 386
ყველაზე მეტი გოლი: რობერტო პრუცო — 106

ერთხელ, 80-იანი წლების დასაწყისში, მატარებელს, რომლითაც რომაელი გულშემატკივრები ფლორენციას მიემგზავრებოდნენ, თავს „ფიორენტინას“ ტიფოზები დაესხნენ და სასტიკად დაარბიეს. მას მერე, ყოველ სეზონში, დედაქალაქელები „არტემიო ფრანკისკენ“ ისე მიემართებიან, როგორც საუკუნეების წინ, პაპის ხელქვეითი მათი წინაპრები ფლორენციელი პრინცების საუფლოსკენ — საომრად.

ამბობენ, რომ ხვალაც იგივე მოხდება, მაგრამ იმედოვნებენ, რომ საშინელებას დააღწევენ თავს. ისე, ეტყობა შული იტალიური ხასიათის მშვენებაა, თორემ ამ ორ გუნდს გასაყოფი რა უნდა ჰქონდეს, არ სჯობს საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ?

საერთო მტერი ვინლაა, იკითხავთ. გიპასუხებთ: მართალია, რომი ქვეყნის დედაქალაქია თავის პარლამენტითა და მთავრობით, ფლორენცია კი ვეებერთელა ხელოვნების მექა, მაგრამ იტალიის საფეხბურთო ცენტრი არც ერთია და არც მეორე. შორს ნუ წავალთ, ჩავხედოთ გუნდების საპასპორტო მონაცემებს. რამდენჯერ იყო „ფიორენტინა“ ქვეყნის ჩემპიონი? ორჯერ. „რომა“? ისიც. რა გამოდის? გამოდის, რომ ორივენი ერთად ოთხჯერ ფლობდნენ სკუდეტოს. ვახსენოთ, ახლა, აქ, „იუვენტუსის“ ოცდახუთი ტიტული ან მილანის გუნდების, „ინტერისა“ და „მილანის“ მონაგარი?

„ფიორენტინა“ 1956 წელს გახლდათ ჩემპიონი, მერე კი, იმავე შემადგენლობით, 1957-1960 წლებში სულ მეორე ადგილზე გადიოდა. პირველზე „მილანი“ იყო.

„რომა“ 1983 წელს კი დაეუფლა ტიტულს, მაგრამ 1981-1986 წლებში სამჯერ მეორე იყო. იმ პერიოდში თასიც სამჯერ მოიპოვა.

ფლორენციელებსა და რომაელებს საერთო ისიც აქვთ, რომ ორივე გუნდის ისტორიაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც მათ ბოლო ტურში დაკარგეს ჩემპიონობა. კიდევ, ორივეს წაუგია ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში. გავიხსენოთ: „ფიორენტინამ“ 1957 წლის 30 მაისს, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდ „რეალს“ მოუხარა ქედი — 0:2, ხოლო „რომამ“ ზუსტად 27 წლის შემდეგ საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ინგლისურ „ლივერპულთან“ მოკაკვა თითი.

დღეს, ფლორენციელები რომის მეორე გუნდ „ლაციოსთან“ ერთად ლიდერობენ სერია A-ს ცხრილში. მათ ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ. თუ ხვალ საღამოს „რომას“ სძლიეს, ბუნებრივია, სკუდეტოსკენ კიდევ ერთ, თანაც ღონიერ ნაბიჯს, გადადგამენ.

მაგრამ გაბრიელ ბატისტუტა დაშავებულია, არადა, იგი „ფიორენტინას“ წარმატება-წარუმატებლობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს. საქმე მარტო ის როდია, რომ არგენტინელი ფორვარდი ბომბარდირია, გოლები გააქვს და თამაშებს იგებს. ამ კაცს სხვა ძალაც აქვს: თუ ის მოედანზეა, თანაგუნდელები ფრთაშესხმულნი ჰყავს, ხოლო თუ არაა... ერთი წუთით თავი „ფიორენტინას“ ფეხბურთელად წარმოიდგინეთ. თქვენ ჩემპიონობას გთხოვენ, ზურგზე უზარმაზარი ვალდებულება გაქვთ წამოკიდებული, ყოველი დღე დაძაბულია და ამ დროს დილა-საღამოს გესმით, რომ კაცი, რომელიც ამ პასუხისმგებლობის უმეტეს ნაწილს კისრულობს, დაშავდა, არ იქნება, ვერ ითამაშებს. წინ არ წაგიძღვებით. და ისევ... არ იქნება, ვერ ითამაშებს...

გახსოვთ, რა თქვა, ამას წინათ, „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ? ნეტავ, ვარჯიშებზე შემოგაჭყიტათ და განახათ, ბატისტუტა რამდენს ნიშნავს, სხვებს როგორ იყოლიებსო.

რაც შეეხება ფლორენციელთა კლუბის მეპატრონეს, კინოპროდიუსერ ვიტორიო ჩეკი გორის, იგი შავ დღეშია, რადგან ყოველი მხრიდან აკრიტიკებენ, რატომ? იმიტომ, რომ ნაგიჟარ ბრაზილიელ ედმუნდოს მკაცრად ვერ უთხრა, რა დროს რიოს კარნავალია, იტალიაში დაეტიე და რაშიც ფულს გიხდი, ის აკეთეო.

მოკლედ, „ფიორენტინას“ მოგება, მოგება და მხოლოდ მოგება სჭირდება.

თუმცა მოგება „რომასაც“ დაამშვენებდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გატყდეს ნავსი და ბოლოდროინდელი უხეირო შედეგები დავიწყებას მიეცეს. მერვე ადგილი ის არაა, რაც დედაქალაქელებს სურთ.

და ბოლოს, აბა, რას გავიხსენებთ სასეიროს:

1940: „ფიორენტინა“ გავარდა სერია B-ში, მაგრამ დაუყოვნებლივ დაბრუნდა სერია A-ში.

1952: „რომა“ გავარდა სერია B-ში თუმცა დაუყოვნებლივ დაბრუნდა სერია A-ში.

1956: „ფიორენტინამ“ იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იმ წელიწადს მისი მწვრთნელი გახლდათ ფულვიო, იგივე ფუფო, ბერნარდინი, რომელიც 1928-38 წლებში „რომაში“ თამაშობდა, 1950 წელს კი სათავეში ედგა მას და გავარდნისგან გადაარჩინა.

1961: „ფიორენტინამ“ რომას ხუთი თვით გაასწრო. 24 მაისს „გლაზგო რეინჯერსს“ თასების მფლობელთა თასზე მოუგო და შეიქნა პირვლეი იტალიური კლუბი, რომელიც კონტინენტურ ჯილდოს დაეუფლა. 11 ოქტომბერს კი „რომამ“ „ბირმინგემ სიტის“ აჯობა და ბაზრობათა თასი აღმართა. ამ თასს დღეს უეფას თასს უწოდებენ.

1969: „ფიორენტინამ“ მეორედ მოიგო სკუდეტო. გუნდს სათავეში ფერუჩო ვულკარევი ედგა. იგი 1978-79 წლების სეზონში „რომას“ თავკაცობდა.

1969: „ფიორენტინას“ საჩემპიონო შემადგენლობაში ბრწყინავდა ჯანკარლო დე სისტი. იგი, მერე, მწვრთნელობას შეუდგა და 1982 წელს ვიცე-ჩემპიონი გახადა ფლორენციის გუნდი, რომელიც ჩემპიონს, „იუვენტუსს“, მხოლოდ ქულით ჩამორჩა. დე სისტი ფეხბურთელის, კარიერა კი დაიწყო (1960-65) და დამთავრდა (1974-79) „რომაში“.

1983: „რომას“ იტალიის ჩემპიონის ტიტული შვედმა სპეციალისტმა, ნილს ლიდჰოლმმა მოაპოვებინა. ლიდჰოლმმა სერია A-ში მოღვაწეობა 1971 წელს, „ფიორენტინაში“ დაიწყო.

1989: გუნდები პერუჯაში უეფას თასზე გამსვლელ ადგილს იყოფდნენ. „რომამ“ იმძლავრა — 1:0. ერთადერთი გოლი რომაელთა ცნობილმა თავდამსხმელმა რობერტო პრუცომ გაიტანა და... „ფიორენტინაში“ გადავიდა.

1994: „ფიორენტინა“ კვლავ გავარდა სერია B-ში და ისევ დაუყოვნებლივ დაბრუნდა სერია A-ში.

**პაპუნა ძიძია**



გაბრიელ ბატისტუტა — ფლორენციელთა ძლიერების წაქცეული საყრდენი

სარბიელის არქივიდან



REUTERS

ბარსელონელთა პორტუგალიელი გამთამაშებელი ლუიშ ფიგუ (ზემოთ) ძალიან ცდილობდა გოლი გაეტანა

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

**ბარსელონა 2:3 ვალენსია**

1:0 კლუივერტი (48), 1:1, 1:2 კ.ლოპესი (52, 57), 2:2 რივალდო (59), 2:3 მენდიეტა (80)
ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო (ოსკარი 85), სერხი, ფ. დე ბური, გვარდიოლა, ფიგუ, კოკუ, რ. დე ბური, ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა (ილიე 66), ხუანფრანი, მენდიეტა, ფარინოსი, მიია (პოპესკუ 77), კ.ლოპესი (სორია 82), ანგულო
გაფრთხილება: ფიგუ, კლუივერტი, ანგლომა, ფარინოსი, სორია, ხუანფრანი
გაძევება: ხუანფრანი
მსაჯი: ესკინას ტორესი

ამ შეხვედრამდე „ბარსელონამ“ ზედიზედ ათი თამაში მოიგო. ქვეყნის ჩემპიონატში ზედიზედ რვა მეტოქე დაამწუხრა, თასზე კი „ბენიდორმი“ ორჯერ მეთერთმეტე მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება ბარსელონელებმა ველარ შეძლეს — ესპანეთის თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში მათ „ვალენსიას“ უმასპინძლეს და დამარცხდნენ.

— დუბლის შესრულება წლეულსაც გვწადია. მართალია, ამ შეხვედრაში დავმარცხდით, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ნახევარფინალისტის ბედს გადაწყვეტილად ნუ ჩათვლით. იქ, ვალენსიაში, ბევრი რამ გაირკვევა — ლუის ვან გაალი, „ბარსელონის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი, მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს.

მასპინძლებმა შეხვედრა ინერტულად დაიწყეს. თუმცა არ ივიწყებდნენ. მეორისგან განსხვავებით, პირველი ტაიმი საცქერლად ნაკლებად სასიამოვნო იყო. შესვენების შემდეგ კი ლამაზი ფეხბურთი დაიწყო. თუნდაც ის რად ღირს, რომ პირველ 15 წუთში ოთხივე გოლი გავიდა — ორი რუუდ ჰესპის, ორიც სანტიაგო კანისარეს რუისის კარში.

შეხვედრის დასასრულამდე ათი წუთით ადრე, „ვალენსიას“ ვეტერანმა გაისკა მენდიეტამ ჩინებული გოლი გაიტანა, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს შეხვედრის მშვენებად. ბარსელონელთა მეკარემ ვერაფერი ილონა, მესამე გოლი გაუშვა და ესპანეთის თასის მფლობელთა სანახევარფინალო შანსები ძალიან შეამცირა.

— ძალიან კარგი იქნება, თუ „ვალენსია“ თასს მოიგებს. კარგა ხანია, ჩვენს კლუბს ტიტული არ მიუღია. თუ გუნდი ამას შეძლებს, მას დიდი სიურპრიზი ელის — პედრო კორტესი, „ვალენსიას“ პრეზიდენტი, „კამპ ნოუზე“ გამარჯვებამ ძალიან გაახარა.

... 28 თებერვალს „ბარსელონა“ კვლავ უმასპინძლებს „ვალენსიას“, ამჯერად ჩემპიონატში ძალიან საინტერესოა ვინ გაიმარჯვებს.

## იტალია

### თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**ბოლონია 0:2 ფიორენტინა**

0:1 ესპოზიტო (32), 0:2 რუი კოშტა (65)
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი (კოლივანოვი 53), ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო, ინგესონი, მაროკი, ბეტარინი (ერიბერტო 53), ანდერსონი, სინიორი
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფირიკანო, ფალკონე, ტორიჩელი, კოისი (ამორი 83), ფიჩინი, ჰაინრიხი, რუი კოშტა, ოლივეირა (რობიატი 70), ესპოზიტო
გაფრთხილება: კოისი, მაროკი, ოლივეირა
მსაჯი: დი მესინა

მეოთხედფინალში ტურინის „იუვენტუსის“ მძლეველი „ბოლონია“ მოულოდნელად დამარცხდა შინ უბატისტუტოდ და უედმუნდოდ მოთამაშე სერია A-ს მეორეადგილოსან „ფიორენტინასთან“.

პირველი გოლი ფლორენციელებმა 33-ე წუთზე გაიტანეს — კარმინე ესპოზიტომ დაახლოებით 20 მეტრიდან აულებელი დაურტყა მასპინძელთა მეკარე ანტონიოლის. გოლი იშვიათი სილამაზის გამოდგა. მეორე ტაიმის მე-20 წუთზე კი ტრაპატონის გუნდის პორტუგალიელმა ნახევარმცველმა რუი კოშტამ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი მშვენივრად შემოატარა ცოცხალ კედელს, არანაკლები გოლი შეაგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 2:0, „ფიორენტინამ“ იმარჯვა.

გოლის გატანა მასპინძლებსაც შეეძლოთ, თანაც არაერთხელ, მაგრამ მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ მოთამაშე, დღესდღეისობით, ალბათ, იტალიის საუკეთესო მეკარე ფრანჩესკო ტოლდო ბოლონიაშიც შეუდარებელი გახლდათ. მატჩის მიწურულს კი მასპინძელთა შვედი ლეგიონერის კლას ინგესონის ძლიერად დარტყმული ბურთი მოწინააღმდეგის კარის ზედა ძელს მოხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო აზვლედიანის

## სვეტი

### მეფის კიდევ ერთი შეცდომა

ერთი ალილო მღვდელსაც შეცდებაო, უთქვამს ხალხს. თუ მღვდელს შეცდება, ჩვეულებრივ ადამიანს მით უმეტეს. მით უმეტეს, თუ ეს ჩვეულებრივი ადამიანი ფეხბურთის მეფეა და არა ვილაც რიგითი ჩვეულებრივი ადამიანი.

ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ, იგივე პელე ჩვენი პლანეტის უგამოჩენილესი ადამიანია, 60-იანი წლებიდანვე აღიარებული ჩვენივ საყვარელი თამაშის მეფედ, ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ორგზის ჩემპიონი (მესამედ დაზრალებული), მრავალი ტიტულის მფლობელი. და რაც მთავარია, გენიალური მოთამაშე, რომელიც სიხარულს ჩუქნიდა მილიონებს.

დღეს პელე წარმატებული ბიზნესმენი, დიდმოხელე და VIP ლოჟებში დაბუდებული ადამიანია.

ამის იმიუხედავად, ჩვენ შევეჩვიეთ ბევრ უცნაურ რამეს, რასაც პელეს პირიდან მოვისმენთ ხოლმე. ტელეკომენტატორებს, ალბათ, დიდად ესახელებათ, როცა ფეხბურთის მეფეს ჰკითხავენ რამეს და ისიც პასუხობს.

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ პელეს პროგნოზები რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია. ბოლო ოც წელიწადს მსოფლიოს ჩემპიონობის პელესეულ კანდიდატთა შორის საყვარელი ბრაზილიის მხარდამხარ ფიგურირებენ იუგოსლავიის, კოლუმბიის და შოტლანდიის გუნდები. თუმცა, პროგნოზირება მაინც არ არის ისეთი ხელობა, კაცს რომ სიზუსტე მოსთხოვოს.

თავისებურად, საინტერესოა მისი კომენტარებიც. ვთქვათ, ასეთი: „ბატისტუტამ ორი გოლი გაიტანა. მე ვფიქრობ, კიდევ გაიტანს“. თუმცა, ამგვარი კომენტარიც არ ჩანს განუმეორებელი და მეფის საკადრისი. პელესავე ეკუთვნის აზრი იმის თაობაზე, რომ მამამისი, ცხონებული დონდინიო მსოფლიოს რეკორდსმენი იყო. სადღაც, იტეპურანას ალაგებში, მოხეტიალე ფეხბურთელ დონდინიოს ერთ თამაშში ხუთი გოლი გაუტანია თავით.

პელეს წიგნის „ჩემი მშვენიერი თამაში და ცხოვრება ფეხბურთში“ გადაკითხვისას კაცი დარწმუნდება, რომ ამ წიგნს კორექტორი არ ჰყოლია. პელე იხსენებს არარსებულ, მის ფანტაზიაში შობილ თამაშებს და თავის თავგადასავალს, რომელიც სხვა წიგნში სხვანაირად აღწერა. ამ წიგნში არ წერია, რომ იგორ სიმუტენკოვი სამყაროს საყვარელი ფეხბურთელია. ეს მეფემ სადღაც სხვაგან თქვა.

დაბოლოს, რომ არ გადავიღალოთ, შევახსენებთ, რომ პელეს მართლა თავისი ნათლია ეგონა ბატონი კახი კავსაძე.

მაგრამ ეს ყოველივე ეპატიება მეფეს, რომელიც მართლაც რომ ბრწყინვალედ ირჯებოდა მოედანზე. ჩვენ, მოკვდავთ არ გვეპატიება, მაგრამ მეფე იმის მეფეა, რომ ასეთი რამეები ეპატიოს.

საწყენი მხოლოდ ის აირს, რომ პელე მუდმივად ზის VIP-თა ლოჟაში და თამაშს უყურებს. თუმცა, ჩვენ გვგონია, რომ თამაშს უყურებს, სინამდვილეში კი აშკარად სხვა რამით არის გართული. ეს აშკარაა.

იგი შარშანაც იყო „ოლდ ტრაფორდზე“, მიუნხენის ტრაგედიის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდა. მან იცის, რა არის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ბევრიც სმენია ამ კლუბის შესახებ. თავადაც აღუნიშნავს, აღტაცებული ვარ ამ გუნდის თამაშითო.

ამასთანავე, მან იცის, ვინ არის მაიკლ ოუენი. მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის გამო დიდადაც აქო.

მაგრამ, აი, გადაფურცლე ინგლისური საფეხბურთო ჟურნალი და წაიკითხე პელეს მორიგი გამონათქვამი:

„მე ძალიან მიყვარს „მანჩესტერ იუნაიტედი“, ძლიერი და ლამაზი კლუბია. ამ გუნდში კი ყველაზე მეტად მაიკლ ოუენი მომწონს“.



# ბიჭის ნაღდინადი





სარბიელის არქივიდან

მაიკლ ყველა სიხარულით ხვდებოდა

## მაისი

*„ბედმა გამიღიმა, 18 წლის რონალდო ჩემთან, „ეინდჰოვენში“ რომ თამაშობდა. მაიკლს ვაკვირდები და ვხვდები, რომ იგი რონალდოზე ნაკლები სულაც არაა“.*

**ბობი რობსონი, ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი**

ოუენს პირველად მაისში, იტალიაში შევხვდი. იმ დროს „უმბრო“, მაიკლის ერთ-ერთი სპონსორი, იტალიაში სარეკლამო რგოლს იღებდა და მაიკლთან ერთად მეც მიმიწვიეს. ერთმანეთი თვითმფრინავში გავიცანით. თავიდან არც იცოდა, ჟურნალისტი რომ ვიყავი, ფეხბურთელებზე თუ ვწერდი, მაგრამ დადგა დრო და ყველაფერი გავუმხილე.

მას ჯერ კიდევ მაშინ ვაკვირდებოდი, როცა აპენინის ნახევარკუნძულის თავზე მივფრინავდით. ჩემს წინ პატარა, ალალი, გულიანი ბიჭი იჯდა. ბიჭი, რომელსაც ფეხბურთი ძალიან უყვარდა, რომლისთვისაც ის ყველაფერს ნიშნავდა.

იტალიაში, უკვე დამეგობრებულმა, მითხრა, ვოცნებობ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიას გადამწყვეტი გოლი გავუტანოო. მივხვდი, რომ ის ბევრს მიაღწევდა. მაიკლი არ ჩანდა უბრალოდ მეოცნებე. ის არ ჰგავდა ბიჭს, რომელიც ოდენ ღრუბლებში ფრენით ცხოვრობს.

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა. ინგლისი მაროკოს გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. გლენ ჰოდლმა გუნდში ოუენიც მიიწვია.

„თუ მაიკლ ოუენი შეძლებს გუნდში ადგილის დამკვიდრებას, ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს“ — გლენ ჰოდლმა მაროკოში პირველი პრესკონფერენცია ამ სიტყვებით დაასრულა.

მასპინძელი მაროკო ინგლისმა 1:0 დაამარცხა. ბურთი მაიკლმა შეაგდო. ის გახდა უმრწემესი მოთამაშე, ვისაც კი ინგლისის პირველ გუნდში თამაშისას გოლი გაეტანა. „ძალიან გამიხარდა. მახსოვს, პირდაპირ ჰოდლს შევხედე. მასაც უხაროდა“. 18 წლის და 164 დღის მაიკლ ოუენი ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდა. მან ტომი ლაუტონის რეკორდი გააუმჯობესა. „არა, ლაუტონის თამაში არ მინახავს, თუმცა მასზე ბევრი მსმენია“ — მითხრა მაიკლმა.

სულაც არაა გასაკვირი, მაიკლს ლაუტონის თამაში რომ არ უნახავს. იმ დროს, როცა ტომი ფეხბურთელობდა, ისტორიას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ.

## ივნისი

*„მაიკლ ოუენის ფეხბურთში მოსვლას ისეთივე რეზონანსი ჰქონდა, როგორც იოჰან კრუიფის, დიეგო მარადონას და პელეს გამოჩენას“*

**კევინ კიგანი ინგლისის ნაკრების მწვრთნელი**

...მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ჯერალდინ ჰარტს საღამოობით ძილი მოერეოდა და ჩათვლემდა ხოლმე. მისი მეგობარი, ბრისტოლელი მხატვარი როჯერ ევანსი ვერ ისვენებდა: „ფეხბურთს ვუყურებდი, მას კი ამ დროს ტკბილად ეძინა. უცბად შუა ძილში იკივლებდა — ოუენი! ოუენი! მერე კი ისევ ძილს განაგრძობდა. ასე გრძელდებოდა ორი თვის მანძილზე. ლამის იყო, დავშორდი“.

ეს ისტორია გაზეთ „სანში“ გამოქვეყნდა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ.

მაიკლმა ამ ამბის შესახებ არაფერი იცოდა. მე რომ ვუამბე, შეცბა, გაუკვირდა კიდეც.

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩამდე, ტუნისთან ორთაბრძოლამდე, ინგლისის ნაკრები ფრანგულ კლუბ „კაენს“ შეხვდა. ალან შირერმა და მაიკლ ოუენმა პირველად სწორედ ამ შეხვედრაში ითამაშეს ნაკრებში თავიდან ბოლომდე მხარდამხარ. ჰოდლი მაიკლს აკვირდებოდა. ტუნისს მაიკლი არ დაპირისპირებია. „რა თქმა უნდა, გული დამწყდა, მაგრამ მართალი გითხრათ, არც ველოდი, თუ ვითამაშებდი. შირერ-შერინგემის წყვილი წლების მანძილზე ქვეყნის ნაკრებისთვის ილვწოდა და განა მე, ახალბედას, პირველივე შეხვედრაში მენდობოდნენ?“.

მეორე მატჩში რუმინელებთან მაიკლმა შერინგემი შეცვალა, გოლიც გაიტანა და კარგი თამაშის წყალობით ჯგუფის ბოლო შეხვედრაში, კოლუმბიელთა წინააღმდეგ, ძირითადში გაამწესეს. „კოლუმბიელებთან ჩემი ჯერი დადგა. იმ მომენტებისთვის მე ამირჩიეს. ჯანსაღ კონკურენციას გუნდში ყოველთვის საჭიროდ მივიჩნევ“.

მერე იყო არგენტინა და გოლი, რომელმაც მაიკლი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა. ელეგანტურად მიღებული ბურთი, ერთი მოტყუებული მეტოქე, ორი გაბრუებული მცველი და როასგან მიტოვებული კარის მარცხენა მაღალ კუთხეში შეფრენილი ბურთი. მთლიანობაში კი ულამაზესი გოლი.

მე სულ სხვა რამ მაინტერესებდა. ვიფიქრე, არც ვკითხავ-მეთქი, მაგრამ სულო ცოდვილო, მისი პასუხი ძალიან მაინტერესებდა.

„მაიკლ, მაშინ მსაჯს პენალტი რომ დასტყუე, განგებ წაიქეცი?“

„რაა?“ — გაკვირვებულმა შემომხედა. ცოტა არ იყოს, დავიბენი. მაიკლი გაჩუმდა, მერე კი მიპასუხა: „ეს ჩემი ქვეყნისთვის, გუნდისთვის, გულშემატკივრებისთვის გავაკეთე. როცა წავიკითხე, თუ როგორ მაკრიტიკებდნენ ინგლისელი ჟურნალისტები, გავოგნდი. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი“.

მე რაც მინდოდა, იმაზე მაინც არ მიპასუხა.

***FourFourTwo*-დან თარგმნა ლაშა გოდუაძემ**

**გაგრძელება იქნება**

## აპრილი

*„მე ძალიან მიყვარს „მანჩესტერ იუნაიტედი“, ძლიერი და ლამაზი კლუბია. ამ გუნდში კი ყველაზე მეტად მაიკლ ოუენი მომწონს“.*

**პელე, ფეხბურთის მეფე**

აპრილის ბოლოს, ფეხბურთის ასოციაცია განვლილი სეზონის გამორჩეულ ფეხბურთელებს ასახელებს. კაცმა რომ თქვას, ჯილდოები პირობითია და რამე გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს, მაგრამ გინდა არ გინდა, დაჯილდოება მაინც გსიამოვნებს.

გაზაფხულზე მაიკლი წლის საუკეთესო ახალბედა ფეხბურთელად აღიარეს. ამას ყველა ელოდა და უმეტესობა ოუენის გამარჯვებაში დარწმუნებულიც იყო. „ის მთელი წლის განმავლობაში შესანიშნავად თამაშობს, ბრწყინვალედ. ეჭვი არ მეპარება, საუკეთესო ახალგაზრდად დაასახელებენ“ — როი ევანსი, „ლივერპულის“ მწვრთნელი. მაიკლის აღმომჩენმა ყველაფერი ზუსტად გათვალა — 18 წლის ბიჭმა პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტის პრიზი მოიგო, მაგრამ თუ წლის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდებოდა, არავის ეგონა, თვით მაიკლსაც კი. „ცერემონიალზე თვალთ დამიბნელდა. სხვაა, როცა ათასობით ადამიანის წინ თამაშობ და სულ სხვაა, ათასი კაცი თვალებში რომ გიყურებს. დაბნეული ვიყავი. მიხაროდა და ჩემი წარმატების არც მჯეროდა.“

აპრილში მაიკლი პირველად გააძევეს მინდვრიდან. „ოლდ ტრეფორდზე“ ლივერპულელებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ქულა დასტყუეს. შეხვედრა 1:1 დამთავრდა, მაგრამ ოუენმა, მიუხედავად იმისა, რომ გოლი გაიტანა, მატჩი ვერ დაასრულა. რონი იონსენთან უხეშობის გამო გააგდეს.

ამის თაობაზე რონი იონსენსაც დაეკითხე და მაიკლსაც.

რონი: „პატარა ბიჭია და ემოციები ვერ მოთოკა. ძალიან უნდოდა, გოლი კიდევ გაიტანა, მაგრამ ვერ შეძლო. კინალამ ფეხი მომამტვრია, თუმცა მატჩის მერე ბოდიში მომიხადა. ის ნამდვილი ჯენტლმენია“.

მაიკლი: „ცუდად ვითამაშე. შევცდი. მივხვდი, რომ გუნდიც დავაღალატე და ყველა ქომაგი. მე თუ მკითხავთ, უხეშობა სისულელეა. ადრე თუ გვიან, ის თავად შემოგიბრუნდება.“

...აპრილში პელე ნისლიან ალბიონს სტუმრობდა. მიუნხენის ტრაგედიის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე კი ფეხბურთის მეფემ თქვა, „ოლდ ტრეფორდზე“, ყველაზე მეტად მაიკლ ოუენი მომწონსო?!



მაიკლმა არგენტინელებთან ნაკრებში თავის საუკეთესო მატჩი ჩაატარა

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— მოდი, რაიმე საჭირბოროტო საკითხი განვიხილოთ.***

— ვთქვათ...

***— ვთქვათ, არის თუ არა ფეხბურთელი საზოგადო მოღვაწე?***

— ფეხბურთელს გააჩნია.

***— აი, ვთქვათ, პელე, სერ ბობი ჩარლტონი, ეუსებიო, კარმახალი.***

— ეჰ...

***— რას იხრავ? ნახე, რა სახელები დაგიხვავე.***

— დიდებული სახელებია, მაგრამ...

***— რა მაგრამ?***

— ეგ პენსიონერი ხალხია, საბანკეტო ხალხი...

***— რას ნიშნავს საბანკეტო ხალხი?***

— უმაგათოდ ჩანგალი არ გარახუნდება.

***— ჰმ... უკვდავი ხალხი ვახსენე და ჩანგლებზე დამიწყო ლაპარაკი.***

— ეგ საქმე იცი როგორ არის, იცი? აი, ვთქვათ, შვილის ქორწილი გვაქვს და გინდა განსაკუთრებული იერი შესძინო. დაუძახებ ამ კეთილ ძიებს და სატრაპეზოც გექნება.

***— რა შუაშია ქორწილი?***

— კარგი, არ გვინდა ქორწილი. წარმოიდგინე, რომ ახალი ბურთის პრეზენტაცია გაქვს. ამ ხალხის გარეშე ბურთი ბურთს არ ემსგავსება.

***— მაშ, მართლა საზოგადო მოღვაწეები ყოფილან.***

— ეგენი სხვებზე მეტად, მაგრამ მაინც ჩანგლის ამბავია...

***— აბა, ვინ არის საზოგადო მოღვაწე?***

— მაგალითად, მარჩელო ლიპი, ან გლენ ჰოდლი.

***— რა ნიშნის მიხედვით?***

— გარეგნული ნიშნის მიხედვით. იერი აქვთ.

***— შენი აზრით, მთავარი იერია?***

— აბა, ისე, ჰოდლი სისულელეებს ლაპარაკობს.

***— და ლიპი?***

— ლიპი ძალიან მოხდენილად ეწევა სიგარას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თან თმაც შევერცხლია.

***— თუ ჭაღარა თმა აუცილებელია, მაშინ ტრაპატონი ყოფილა მთავარი საზოგადო მოღვაწე.***

— არა, ტრაპატონი თამაშის დროს თითებს იდებს პირში და უსტვენს. სად გინახავს, რომ საზოგადო მოღვაწე ხალხის დასანახად თითებს იდებდეს პირში?

***— ესე იგი, შენ იტალიელებს არ სწყალობ.***

— რატომ? მე უბრალოდ ტრაპიზე ვთქვი.

***— ძოფს რით დაიწუნებ?***

— მალდინის ჰგავს თმის სალებავის ფერში და თანაც წითელი ფეხსაცმელები აცვია.

***— ახლა წითელი ფეხსაცმელი ამოიჩემა... რა შუაშია წითელი ფეხსაცმელი? ქაჯი ხარ?***

— ჰო, მე ვარ ქაჯი და ძამბროტას გამომყვანი საზოგადო მოღვაწეა...

***— ძამბროტა? მოსინჯა ბიჭი, რას ერჩი?***

— ძამბროტას მოსინჯვა როგორ შეიძლება, რა სისულელეს ამბობ?

***— უკრძალავ?***

— ვაჟკაცურად, შენ იცი იტალიის ნაკრები რა არის?

***— აბა, საკი ყოფილა საზოგადო მოღვაწე.***

— ახლა არა და ადრე კი იყო.

***— ახლა რა მოუვიდა?***

— კაცი რომ ყასაბ ხილი ხილთან წავა, საზოგადოებასთან რაღა ესაქმება?

***— ხომ გადადგა?***

— ეჰ, ეგრე რამდენი გადამდგარა.

***— შენი აზრით, ჰოვარდ ვილკინსონია საზოგადო მოღვაწე?***

— კაცი რომ კანტონას გუნდიდან გააგდებს, საზოგადოებისა რამე გაეგება?

***— მაშ, კანტონა ყოფილა.***

— იქნებოდა, კუნგ ფუ რომ არ ყვარებოდა.

***— და გაზა?***

— რატომ გაგახსენდა?

***— საზოგადოების ამბავში.***

— ერთი რამე მოვიფიქრე. იმას რა ჰქვია, ბრაზილიელი როა?

***— სამპაიო.***

— არა კაცო.

***— აბა, სუზანა ვერნერის საქმრო?***

— არა, მე გეუბნები იმ ვაჟკაც და თავზეხელაღებულ ადამიანზე.

***— ედმუნდო?***

— ყოჩაღ. ძლივს არ გაარტყი?

***— რა მოიფიქრე?***

— ედმუნდოს და გაზას შვილიშვილი უნდა მოვანათლინო.

***— რატომ?***

— მინდა, საზოგადო მოღვაწე გამოვიდე.



# ამბავი იმ მილიონერთა გახედნისა, რომელთაც კაპიკის გაღება უჭირთ

*მიუნხენის „ბაიერნი“ მეორე წრეს „დუისბურგთან“ საგარეო მატჩით დაიწყებს. იქ ჩასულ ოტმარ ჰიცფელდს გერმანელი ჟურნალისტი დილის ვარჯიშის შემდეგ გაესაუბრა. „ბაიერნი“ გუშინ, დღეს და ჩემპიონთა ლიგაში — აი, ჰერ ჰიცფელდისა და კარლჰაინც ვილდის საუბრის თემები.*

**— ჰერ ჰიცფელდ, როგორ ფიქრობთ, რამდენქულიანი უპირატესობა ექნება „ბაიერნს“ სეზონის მიწურულს?**

— მარჩიელობისგან თავს შევიკავებდი. ჩემპიონატი ჯერ კიდევ ძალიან დაძაბულია.

**— კარგით ერთი... „ბაიერნი“ 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს და ლიგაში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს.**

— 8 ქულას პირველ წრეშიც ვიგებდით, მაგრამ შემდეგ „ლევერკუზენთან“ ჭიდაობა მოგვიხდა.

**— პირველ ადგილზე თუ ვერ გახვალთ, ამას დიდ წარუმატებლობად შეაფასებთ?**

— რასაკვირველია. შემოდგომაზე ჩვენ დროდადრო დიდებულად ვთამაშობდით. თუკი ტიტულს ვერ მოვიხვეჭთ, ეს უდიდესი იმედგაცრუება იქნება.

**— რას შეუძლია თქვენი გაჩერება? ისევ თავად „ბაიერნს“ ხომ არა?**

— ამის თქმა კონკურენტებისადმი უპატივცემულობა იქნებოდა. ისე კი, ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორი ტრავმებია.

**— ნუთუ ტრავმები ისეთი გრძელი სკამის გუნდსაც უქმნის პრობლემებს, როგორიც „ბაიერნია“?**

— ჩვენთან არიან ფეხბურთელები, რომელთა შეცვლაც უბრალოდ შეუძლებელია. მაგალითად, შტეფან ეფენბერგი და ჯოვანი ელბერი. სრულფასოვანი შეცვლა არც ოლივერ კანისა და ლოთარ მათეუსისთვის მოგვეპოვება.

**— „ბაიერნის“ წინა მწვრთნელებისგან განსხვავებით, „მიუნხენური“ ვარსკვლავთანსამბლი თქვენ მტკიცე მარწუხებში მოაქციეთ. როგორ შეძელით ამის გაკეთება?**

— დიდი საქმე ყოველთვის მცირე ნაწილებისგან შედგება...

**— სხვაგვარად?**

— სხვაგვარად — ყველას თავის უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეს.

**— ფრანც ბეკენბაუერი ყოველთვის ამბობდა, რომ ერთადერთი, ვისაც თავად შეეძლო გადაეწყვიტა, როგორ და რამდენად ეთამაშა, მათეუსი იყო. ახლაც ასეა?**

— თუ ვინ და როგორ უნდა ითამაშოს, ამას მწვრთნელი წყვეტს. ამასთან — უგამონაკლისოდ.

**— გუნდის გასახედნად გადამწყვეტი ბასლერის, ელბერისა და თვით მათეუსის 10-10 ათასი მარკით დაჯარიმება ხომ არ გამოდგა?**

— ჩემი აზრით, ამგვარი ზომების მიღება ნორმალური ამბავია. თუკი კლუბში რაღაც სამუშაოს ვასრულებ, მაშინ ჩემ სამუშაო ადგილზე ყველაფერი ჩემებურად უნდა იყოს!

**— მაგრამ აქვს კი აზრი იმ ფეხბურთელის დაჯარიმებას, ვინც მილიონს იღებს?**

— ფულის გადახდა არავის სიამოვნებს... ეგეც არ იყოს და, ცარიელი ლაპარაკი საქმეს ვერ შველის. ცხოვრებაში, ისევე როგორც მინდორზე, წესის ნებისმიერ დარღვევას ჯარიმა თუ არ მოჰყვა, ისე არაფერი გამოვა.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ სანქციებს ჯანყის მცდელობა არ მოჰყოლია.**

— მართალი ბრძანდებით. პირველი წრის განმავლობაში ჩვენ გასახდელში გასაოცარი სიმშვიდე სუფევდა. შეიძლება იმიტომაც, რომ თავიდანვე წარმატებულად გამოვდიოდით.

**— ხომ არ გეშინიათ, რომ მარცხის შემთხვევაში ყველაფერი შეიცვლება?**

— თუკი თქვენ არ აგვირევთ, დამარცხებებს ჩვენ იოლად გადავიტანთ.

**— ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნავთ ხოლმე, რომ კლუბის ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერით სარგებლობთ.**

— ეს მართლაც ასეა. არც ფეხბურთელებს და არც მე პრეზიდიუმთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

**— ესე იგი, სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ ყველაფერი საუცხოოდაა?**

— სეზონის პირველი ნახევარი წყალსაც წაუღია, თუკი ჩემპიონები ვერ გავხდით. კმაყოფილი მხოლოდ მაშინ ვიქნები, თუკი მეორე ნახევარსაც ასევე საუცხოოდ დავასრულებთ.

**— ჩემპიონთა ლიგა?**

— ეჰ, იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა... მაგრამ ამ გათამაშებაში „ბაიერნზე“ ძლიერი გუნდებიც გამოდიან.

**— რას გულისხმობთ?**

— „მანჩესტერსა“ და „რეალს“. და ალბათ, ტურინის „იუვენტუსსაც“.

**— კი მაგრამ, „მანჩესტერს“ ხომ ორჯერ ეთამაშეთ და არც ერთხელ დამარცხებულხართ?**

— მათ ჩვენზე მეტი ვარსკვლავები ჰყავთ.

**— თქვენ ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ვარსკვლავები უეჭველი გამარჯვების გარანტია არ არის.**

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ... არა, რასაკვირველია, „ბაიერნს“ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია და ევებ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეეძლოს. მაგრამ ჩვენ ხომ მაინც რეალისტები უნდა ვიყოთ.

**— ისე გამოდის, რომ ამ თემაზე უფრო თავდაჯერებულად საუბრისთვის სატრანსფერო ხარჯების გაზრდაა საჭირო.**

— გამოდის და, ალბათ, ასეც იქნება. მომავალი სეზონისთვის 3-4 ფეხბურთელის შეძენას ვაპირებთ.

*Kicker*-იდან თარგმნა
**ლევან ძელაურაძემ**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08



# სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ნიურნბერგი — ვერდერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლევერკუზენი — ფრაიბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ჰერტა — დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დუისბურგი — ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| მიუნხენ 1860 — აინტრახტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| შტუტგარტი — შალკე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 21 თებერვალი | | | |
| მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა გადადებული მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 თებერვალი | | | |
| ურდინგენი — ჰანოვერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 22 თებერვალი | | | |
| კიკერსი — ზანქტ პაული | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| არსენალი — ლესტერი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბლექბერნი — შეფილდ უენსდეი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქოვენთრი — მანჩესტერი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| დერბი — ჩარლტონი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლიდსი — ევერტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| მიდლსბრო — ტოტენჰემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ნოტინგემი — ჩელსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| საუთჰემპტონი — ნიუკასლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 21 თებერვალი | | | |
| უიმბლდონი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ბარნსლი — გრიმსბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბერი — ნორვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ქრიუ — სტოკპორტი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — ტრანმერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იფსვიჩი — ოქსფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| პორტ ვეილი — კრისტალ პალასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ქუინზ პარკი — უოტფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სანდერლენდი — ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სვინდონი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბრისტოლი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 21 თებერვალი | | | |
| ბირმინგემი — ბოლტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 თებერვალი | | | |
| ბოლონია — ემპოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ფიორენტინა — რომა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| იუვენტუსი — ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლაციო — ინტერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| მილანი — კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სალერნიტანა — პარმა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| სამპდორია — პიაჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უდინეზე — ბარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვენეცია — პერუჯა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ვერონა — ტრევიზო | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 21 თებერვალი | | | |
| კოზენცა — ტორინო | 3,2 | 2,7 | 2,2 |
| კრემონეზე — ბრეშა | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| ლეჩე — ფ. ანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლუკეზე — რეჯინა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| მონცა — ჩეზენა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ნაპოლი — რეჯანა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| პესკარა — კიევო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რავენა — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ტერნანა — ატალანტა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| რეალი — ბილბაო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ესტრემადურა — ბეტისი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რასინგი — სარაგოსა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 21 თებერვალი | | | |
| ალავესი — ტენერიფე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოვიედო — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სოსიედადი — ატლეტიკო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ესპანიოლი — დეპორტივო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სალამანკა — ვილიარეალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვალენსია — ვალიადოლიდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სელტა — ბარსელონა | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| მალაგა — რეკრეატივო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| კომპოსტელა — ბადახოსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნუმანსია — ოსასუნა | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| ლეიდა — ერკულესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რაიო ვალეკანო — ალბასეტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მალიორკა B — ეიბარი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლას პალმასი — სპორტინგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 21 თებერვალი | | | |
| ატლეტიკო B — ტოლედო (15⁰⁰) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლოგრონიესი — ბარსელონა B | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| სევილია — ლეგანესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ორენსე — მერიდა | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ბრაგა — ბოავიშტა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სალგეიროში — ლეირია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 21 თებერვალი | | | |
| შავეში — ფარენსე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| აკადემიკა — ბეირა მარი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| სეტუბალი — მარიტიმუ | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბენფიკა — გიმარაეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| პორტუ — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| კამპომაიორენსე — ამადორა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| როდა — სპარტა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| სიტარდი — კამბური | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალკმაარი — ვალვაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ვიტესი — მაასტრიხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21 თებერვალი | | | |
| უტრეხტი — ჰერენვენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გრააფსხაპი — ტვენტე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ფეიენოორდი — ეინდჰოვენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ანდერლეხტი — გენტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ბეშიქთაში — ალთაი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21 თებერვალი | | | |
| ტრაბზონი — ქოჯაელი (15³⁰) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ადანა — გენჩლერბირლიგი (15³⁰) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| საქარია — ბურსა (15³⁰) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანკარა — გაზიანთეფი (15³⁰) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| დარდანელი — ანთალია (15³⁰) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ქარაბუქი — ერზურუმი (15³⁰) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გალათასარაი — ისთანბული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| დანდი იუნაიტედი — აბერდინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ჰართსი — სენტ ჯონსტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| რეინჯერსი — დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21 თებერვალი | | | |
| მოზერველი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### საფრანგეთის თასი. მეთექვსმეტედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ამიენი (II) — ლე ავრი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლანსი — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სენტ ეტიენი — სოშო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გინგამი (II) — სტრასბური | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პსჟ — ნანტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ბელგიის თასი. მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ინგელმუნსტერი (III) — სტანდარდი | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 21 თებერვალი | | | |
| კორტრაიკი — ლიერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სენტ ტრუიდენი — გენკი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ტორონტო — მონრეალი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ოტავა — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნიუ ჯერსი — აილენდერსი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ვაშინგტონი — სან ხოსე | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ტამპა ბეი — კაროლინა | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფლორიდა — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სენტ ლუისი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 21 თებერვალი | | | |
| ბუფალო — დეტროიტი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კაროლინა — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დალასი — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 22 თებერვალი | | | |
| პიტსბურგი — ფინიქსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ვაშინგტონი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტამპა ბეი — ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

### კალათბურთი. NBA

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| მაიამი — ჰიუსტონი | 1,9 | 12,0 | 1,7 |
| იუტა — სიეტლი | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| ფილადელფია — ატლანტა | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| კლივლენდი — ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| მილუოკი — ინდიანა | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| პორტლენდი — გოლდენ სტეიტი | 1,35 | 12,0 | 2,7 |
| კლიპერსი — დალასი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| 21 თებერვალი | | | |
| ნიუ იორკი — ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,7 |
| ვაშინგტონი — ბოსტონი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| სან ანტონიო — დეტროიტი | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| ტორონტო — ვანკუვერი | 1,7 | 12,0 | 1,9 |
| ორლანდო — ჰიუსტონი | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| მინესოტა — საკრამენტო | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| ინდიანა — ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 3,0 |
| სიეტლი — ლეიკერსი | 1,2 | 12,0 | 4,0 |
| 22 თებერვალი | | | |
| ორლანდო — საკრამენტო | 1,2 | 12,0 | 4,0 |
| ატლანტა — ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 4,0 |
| კლივლენდი — ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| მინესოტა — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,9 |
| დენვერი — ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| იუტა — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 6,0 |
| ფინიქსი — დალასი | 1,3 | 12,0 | 3,0 |

### რაგბი. ხუთი ერის პირველობა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 თებერვალი | | | |
| ინგლისი — შოტლანდია | 1,1 | 6,0 | 6,0 |
| უელსი — ირლანდია (ლონდონში) | 1,4 | 6,0 | 2,8 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ტონგელები ლეგიონერებით და ხელით თამაშით გვაშინებენ

**შარშან ნოემბერში იყო, საქართველოს ნაკრები რუმინეთთან რომ დამარცხდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გუნდს მსოფლიოს თასის დასკვნით ტურნირზე მოსახვედრად „WILD CARD"-ის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ რაუნდში ტონგური ბარიერის დაძლევა მოუწევდა. საამისოდ ქართველებმა კარგა ხნის წინ დაიწყეს მზადება. ბოლო ეტაპს კი ნაკრები ფიჯიში გაივლის. აბა, როდის ყოფილა, ქართულ სარაგბო თემს აწყობილ ჰქონოდა საქმეები, ახლა რომ ულხინდეს. ღვთის მადლით, მწვრთნელთა შორის გაურკვევლობა დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. და, აი, ახალი პრობლემები წარმოიქმნა. დღეს გამთენიისას ფიჯიში გამგზავრებულ ბორჯღალოსნებს კახა მაჩიტიძე გამოაკლდათ, რომელიც ორი დღის წინ ყარჯიშზე დაშავდა. მის მაგივრად მწვრთნელებს ნიკო იურინის წაყვანა სურდათ, მაგრამ თურმე „ბეირუთაც" ტრავმირებული ყოფილა. საბოლოოდ კი მწვრთნელებმა ჯერ ფიჯიში, მერე კი ტონგაში საბურთაოდ ბესო ტეფნაძე იახლეს. სხვა მხრივ ნაკრებში ყველაფერი რიგზეა.**



**ტონგელები და ფიჯელები ძველი მეტოქეები არიან. ამაზე მათი შარშანდელი შეხვედრისას გადაღებული ეს ფოტოც მოწმობს. ტონგელებთან (მუქ მაისურებში) ოფიციალურ მატჩამდე ფიჯელები მართლაც სასურველი სპარინგ-პარტნიორები იქნებიან ბორჯღალოსნებისთვის.**

ფიჯიში ქართველი მორაგბეები ერთ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ, ტონგას კი მატჩის წინა დღეს, 5 მარტს ესტუმრებინა ასეთი შემადგენლობით:

*მთიულიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე, ნიკოლაენკო, შველიძე, ნადირაძე, პარწიკანაშვილი, დიდებულიძე, იაშვილი, მჭედლიშვილი, ლაბაძე, კაცაძე, შ. მოდებაძე, გიორხელიძე, ჯიმშელაძე, ტეფნაძე, აბაშიძე, ხამაშურიძე, მასურაძე, ხეხელაშვილი, ურჯუკაშვილი, ქავთარაშვილი.*

ქართველთა წინაალმდეგ საბრძოლველად მეტოქემ დასახმარებლად სამხრეთაფრიკელებს უხმო. მათაც არ დაიზარეს და ნაკრების ახალდანიშნულ მწვრთნელს პოლუტელე ტუიპამალაპას კონსულტაციებით შეეშველნენ. ახალდანიშნულიო, ვახსენეთ. მანამდე ნაკრებს ტევიტა ლატაილაკეპა თავკაცობდა, გამორჩეული ფიგურა ტონგური რაგბის ისტორიაში. ზელანდიაში ნათამაშევი და შემდეგ ერთ-ერთი იქაური გუნდის მწვრთნელყოფილს ტონგის უმაღლესმა სპორტულმა საბჭომ მიზნად მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე გასვლა დაუსახა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. სამი მატჩი და სამი წაგება — შედეგი ბოლო ადგილი ჯგუფში და „WILD CARD"-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრა. ასეთი შედეგი, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს და მწვრთნელი ნაადრევად დაითხოვეს, თუმცა წარუმატებელი გამოსვლის ობიექტური მიზეზებიც არსებობდა. სწორედ მათზე და ქართველი რაგბის მოყვარულთათვის მრავალ საინტერესო საკითხზე ესაუბრა „სარბიელს" ტონგის ნაკრების ყოფილი თავკაცი, ამჟამად ნაკრების მრჩეველი ტევიტა ლატაილაკეპა, რომელსაც ტონგის დედაქალაქ ნუკუალოფაში ტატიანა ბორისენკოს მეშვეობით დავუკავშირდით...

— წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი ქვეყანაში არსებული ვითარებაა. ეკონომიკურად გვიჭირს და მოთამაშეებიც უცხოეთში გარბიან. ვინც კი რაღაცას წარმოადგენს, საზღვარგარეთ ბურთაობს, ზოგი საშუალო დონეზე, ზოგიც კი... ახლავე ჩამოგითვლით: ჯონა ლომუ, ისიტოლო მაკა, ვილი ოფაჰენგაუ. ასეთი დონის მორაგბეებს ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. სამწუხაროდ, ისინი უცხოეთში თამაშობენ. ნოემბერში, როცა ახალზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ ჰართმა იმ 42 კაცის სია გამოაქვეყნა, რომლებიც მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას დაიწყებდნენ, 4 ტონგელს უხმო — ჯონა ლომუს, ისიტოლო მაკას, კარლ ჰოეფლის და ჩარლზ რიჩელმანს. აქედან ჩანს, რა დონის მობურთალეებიც არიან. ბლედისლოუს თასის მატჩში კი „ოლბლექსსა" და „ვოლაბებს" შორის ავსტრალიელთა რიგებში ორი ტონგელიც იყო — ვილი ოფაჰენგაუ და ტოუტაუ კეფუ. მათ გარდა ავსტრალიაში ფილი ფინაუ, სემი ტაუპეაფედან მანუ თამაშობენ. მაგრამ ისინი ახლა ჩვენ დაგვეხმარებიან. კიდევ ერთი მიზეზი, რამაც ჩვენი მარცხი გამოიწვია, შესარჩევ ეტაპზე მეორე შემადგენლობით ასპარეზობა იყო. ჩვენ რომ უძლიერესი შემადგენლობა გვყოლოდა, ჯგუფიდან აუცილებლად გავიდოდით. სამწუხაროდ, ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელობამ ეს ვერ უზრუნველყო და ასეთი შედეგიც ამიტომ მივიღეთ.

**— თვლით, რომ თქვენი, როგორც მწვრთნელის, სრული შესაძლებლობები ამ ტურნირმა არ წარმოაჩინა?**

— საკუთარ თავზე საუბარი ცოტა უხერხულია, მაგრამ ნამდვილად ასეა. მეორე შემადგენლობით ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელი იყო. ამის შესახებ წინასწარვე გავაფრთხილე, ვინც საჭირო იყო, მაგრამ ამას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. ქვეყნის სპორტის საბჭოს ხელმძღვანელებსა და უცხოეთში მოთამაშე ტონგელ მორაგბეთა შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოება. ეს უმთავრესად ფინანსებთან იყო დაკავშირებული, რამაც გამოიწვია კიდეც ის, რომ მოთამაშეები შესარჩევ ტურნირზე არ ჩამოვიდნენ.

**— ყოველივე ეს თავის მართლებას და ხელმძღვანელობაზე განაწყენებული კაცის საუბარს ჰგავს...**

— არ ვიცი, თქვენ როგორ აღიქვამთ, მაგრამ მე მარცხის მიზეზებზე ვსაუბრობ. ერთადერთი, ვისთანაც მოგების შანსი არ გვქონდა, ავსტრალია იყო. დანარჩენები — ფიჯი და სამოა უნდა დაგვემარცხებინა, მაგრამ იმ მიზეზთა გამო, რომლებზეც გითხარით, ეს არ მოხერხდა. ყველაზე მეტად სამოასთან წაგებაზე მწყდება გული. იმ მატჩის მოგება მეორე შემადგენლობითაც შეგვეძლო, მაგრამ ლამის მთელი მეორე ტაიმი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ. ჩვენი პოტენცია ზელანდიურმა ტურნემაც ცხადყო, რომელიც შესარჩევ ტურნირამდე გავმართეთ.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ტურნე არც ისე წარმატებული იყო...**

— შედეგების მიხედვით ასე გამოდის — ხუთიდან ორ მატჩში ვიმარჯვეთ, სამში კი დიდი ანგარიშით დავმარცხდით. მაგრამ თამაშის ხარისხით ძალიან კმაყოფილი ვართ. სხვათა შორის, ლეგიონერთა მონაწილეობით ორივე მატჩი მოვიგეთ: პირველი „მანუკაუსთან" 22:15, მეორე — „თეიმზ ველისთან" 24:10. „მანუკაუსთან", რომელიც ზელანდიის პროვინციათა ჩემპიონატის ფინალისტი იყო 1997 წელს, მთელი მატჩის განმავლობაში ვფლობდით უპირატესობას. მეორე შეხვედრაში კი, შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა, თუმცა ანგარიშის შემყურე ამას ვერ იტყვით. იმ თამაშის ბედი, ფაქტობრივად, სიონე მაილანგიმ გადაწყვიტა. შემდგომ მატჩებში კი ლეგიონერების უმეტესობა არ გვყავდა და სამივეში სასტიკად დავმარცხდით.

**— ამ სამ მარცხს თქვენებურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ბევრმა იწინასწარმეტყველა, ლეგიონერები რომც ყოფილიყვნენ, ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავიდოდაო. თქვენ ასე არ თვლიდით. რა გაძლევდათ ამის საფუძველს?**

— ის ორი გამარჯვება, რომლებიც საწყის შეხვედრებში მოვიპოვეთ. რა თქმა უნდა, საბოლოოდ ყველაფერში მწვრთნელებს ადანაშაულებენ. არადა, მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე უბრალოდ, ტაქტიკური შეცდომა მატჩისას. ჩვენში რაგბი პროფესიული არაა. სანამ ასეა, ვეჭვობ, რაიმე დიდ წარმატებას მივაღწიოთ. ტონგაში დარჩენილი მორაგბეები ამავდროულად სხვა საქმიანობას ეწევიან. ეს ყველაფერი კი უარყოფითად მოქმედებს რაგბის განვითარებაზე. ამას ქვეყნის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობაც ემატება და ამიტომაც ყველა უცხოეთში წასვლაზე ფიქრობს. დღესდღეობით ზელანდიის, ავსტრალიის, იაპონიისა და უელსის კლუბებში 32 ტონგელი თამაშობს.

**— საქართველოსთან მომავალ დაპირისპირებაზე რას იტყოდით?**

— როგორც ყოფილმა მწვრთნელმა, ვიცი ჩვენი ნაკრების ღირსებაც და ნაკლიც. თუ ამ ღირსებებს გამოვიყენებთ, ვფიქრობ, ტონგა გაიმარჯვებს, მაგრამ აქ ერთი რამაა გასათვალისწინებელი — როგორი შემადგენლობით ვითამაშებთ. ნაკრების ახალმა ხელმძღვანელობამ უკვე შეუთანხმა ლეგიონერებთან დაკავშირებული პრობლემები სპორტული საბჭოს ხელმძღვანელობას და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უძლიერესი შემადგენლობით შეგერკინებით. ტაქტიკაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თამაშის სტილი იგივე დარჩება, რაც იყო — ძირითადად ხელით თამაში. არის ბევრი სიახლეც, რომლებიც სამხრეთაფრიკელებმა შემოიტანეს და ვეცდებით, გამოვიყენოთ. მაგრამ ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ, იმიტომ, რომ ტონგელი ვარ.

**— საქართველოს ნაკრებზე თუ იცით რამე და თუ ასეა, როგორ შეაფასებდით ქართული რაგბის დონეს?**

— მე ქართველების სამი თამაში მინახავს — იტალიასთან, ირლანდიასთან და რუმინეთთან. ისე მოხდა, რომ სამივეში დამარცხდით, მაგრამ თუ შეფასებაზე მიდგა საქმე, ვფიქრობ, ჩვენსავით საშუალო დონეზე ბურთაობთ. თქვენც გაქვთ ღირსებები და, რა თქმა უნდა, ნაკლიც — რატომღაც ხელით ცოტას თამაშობთ. მგონი, ამ მხრივ დაგჩაგრავთ. სამხრეთაფრიკელებმა თქვენი და ჰოლანდიის ნაკრებების თამაშების ვიდეოკასეტებიც ჩამოიტანეს და თითოეული მოწინააღმდეგისათვის სათამაშო ტაქტიკას ამუშავებენ.

**— ჰოლანდიელები ახსენეთ. ალბათ, დარწმუნებული არიან, რომ საქართველოს მოუგებენ.**

— არა, დარწმუნებული არ არიან, უბრალოდ, იმედი აქვთ. აი, ის კი, კორეას რომ დაამარცხებენ, სჯერათ. ახლა მხოლოდ საქართველოსთან მატჩისთვის ამზადებენ მოთამაშეებს, უპირატესად თეორიულად და ფსიქოლოგიურად. ამ მხრივ განსაკუთრებით მოვიკოჭლებთ. ისე კი, ერთი მატჩიც ითამაშა ნაკრებმა — ახალგაზრდებთან და 28:18 მოიგო. ორ შეხვედრას ნაკრები ლეგიონერების ჩამოსვლის მერე გამართავს სამოასთან და ზე-12-ში არმონაწილე ერთ-ერთ ზელანდიურ კლუბთან.

**— შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— თანაბრად, 50-50-ზე. საერთოდ, ორმატჩიან დუელში ძნელია პროგნოზების გაკეთება, მით უმეტეს, თანაბარძალოვან გუნდებს შორის. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ როგორ გამოიყენებს თავის ღირსებებს. მაგრამ, ვიმეორებ, თუ ლეგიონერები არ ჩამოვიდნენ, ალბათ, მიზნის მიღწევა გაძნელდება. თუმცა ვიმედოვნებ, რომ ჩამოვლენ და საინტერესო ბრძოლის მოწმე გავხდებით. ვფიქრობ, იმ ოთხ გუნდში, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობენ, ტონგა და საქართველო შედარებით ძლიერნი არიან. ამიტომაც უელსში ჩვენს შორის გამარჯვებული წავა.

## 5 Nations

### ხუთი ერის პირველობა

მეორე ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს *ინგლისი — შოტლანდია* და *უელსი — ირლანდია* შეხვდებიან. ორივე მატჩი ინგლისში ჩატარდება: ინგლის—შოტლანდიის დაპირისპირება თვიქნემში შედგება, უელსელები კი ირლანდიელებს „უემბლიზე" შეერკინებიან.

პირველ მატჩში გამარჯვებას ინგლისელებს უწინასწარმეტყველებენ. ისინი ხომ ტურნირის ფავორიტებადაც არიან შერაცხული ფრანგებთან ერთად. შოტლანდიელებმა კარგად უწყიან, რომ დღეს მოგების ძალიან მცირე შანსი აქვთ: ბოლოჯერ კალკუტის თასს, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის ყოველწლიურად თამაშდება, შოტლანდიელები 1990 წელს ფლობდნენ, როცა ინგლისელები 13:7 დაამარცხეს „მარიფილდზე", თვიქნემში კი სულაც 1983 წლის მერე აღარ მოუგიათ. მაშინ სკოტებმა 12:22 იძალეს. დღევანდელი თამაში რიგით 116-ე იქნება ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ისტორიაში. წინა 115 მატჩიდან კი ინგლისელებმა 59 მოიგეს. სკოტებმა — 39. 17-იც ფრედ დასრულდა.

ინგლისელთა მწვრთნელ კლაივ ვუდვორდს სჯერა, რომ მისი გუნდი გაიმარჯვებს: „ვფიქრობ, იოლად უნდა მოვიგოთ. ამ ტურნირისთვის საკმაოდ ნაყოფიერად მოვემზადეთ. ბიჭები შესანიშნავ ფორმაში არიან, ამიტომ დღეს, ისევე როგორც მთელი ტურნირის განმავლობაში, მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ."

სკოტთა დამრიგებლის, ჯიმ ტელფერის თქმით, თუკი მისი შეგირდები სრულად გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს, წარმატებაზე ფიქრიც შეიძლება. პირველობის საწყის მატჩში მათ უკვე გააოცეს სპეციალისტები უელსელთა დამარცხებით 33:20 და ამის გაკეთებას მეორედაც შეეცდებიან, თუმც ისიც კარგად უწყიან, რომ ამჯერად საქმე გაცილებით ძლიერ მეტოქესთან აქვთ.

რაც შეეხება უელს — ირლანდიის დაპირისპირებას, ამ შეხვედრაში არაა აშკარად გამოკვეთილი ფავორიტი, თუმცა მცირე უპირატესობა სტუმრებს ენიჭებათ. სტუმრები ირლანდიელებს პირობითად ეწოდებათ. თორემ მატჩი, კარდიფში სტადიონის მშენებლობის გამო, ლონდონში შედგება. პირველ ტურში ორივე გუნდი დამარცხდა, მაგრამ თუ ირლანდიელებმა პირველობის ბოლო ორი წლის გამარჯვებულ საფრანგეთის ნაკრებთან წააგეს 9:10, უელსელებმა ედინბურგში დათმეს თამაში სკოტებთან 33:20. ამიტომაც დღევანდელ მატჩში ორივე გუნდი მხოლოდ მოგებისთვის იბრძოლებს. ის მცირე უპირატესობა კი, რომელსაც სტუმრებს უწინასწარმეტყველებენ, იმის გამოა, რომ „მასპინძლებს" გუნდის სული და გული ალან ბეითმენი არ ეყოლებათ. მას მარკ ტეილორი შეცვლის. ასევე საეჭვოა დეივ იანგის თამაშიც. მას ქუსლის ტრავმა აწუხებს, ეს კი უელსელებს წინა ხაზში გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის. ამ გუნდების 102-მატჩიანი დაპირისპირების ისტორიაში უელსელები აშკარად ჩაგრავენ მეტოქეს — 59 მოგება 37-ის წინააღმდეგ. ყველაზე დიდი ანგარიში, რომლითაც ნაკრებების ურთიერთშეხვედრა დასრულდა, 29:0-ია — 92 წლის წინ გამართულ მატჩში უელსელებმა იმარჯვეს. მათი ზელანდიელი დამრიგებლის, გრეჰემ ჰენრისთვის დღევანდელ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველ ტურში ჩაფლავების შემდეგ უელსური რაგბის მამები მისგან მხოლოდ მოგებას ითხოვენ. თავის მხრივ, არც ირლანდიელთა მწვრთნელი კარგ დღეშია. [illegible] საინტერესო მატჩის წინაპირობას ქმნის.

**პაატა თოთაძე**

რეგულარული ჩემპიონატი

NBA

# პიპენმა ოლაჯუონი იპოვა

REUTERS ნიუ იორკიდან




ნიუ ჯერსი — ჰიუსტონი. ჰიუსტონელმა ჰაკიმ ოლაჯუონმა (34) ნიუჯერსელ რონი საიკლს არ ჩააგდებინა

18 თებერვალი

### ნიუ ჯერსი 92:93 ჰიუსტონი

(ძირითადი დრო 85:85)

**ნიუ ჯერსი: კიტლზი (17), გილი (24), ბარელი (5), ვან ჰორნი (18), ვილიამსი (12 ქულა, 11 მოხსნა), მერდოკი (7), გატლინგი (6), ჯონსი (2), საიკლი (1), მაკლვეინი**
**ჰიუსტონი: მელონი, დიკერსონი (14), პიპენი (26), ჰარინგტონი (12 ქულა, 12 მოხსნა), ოლაჯუონი (21 ქულა, 15 მოხსნა), მილერი (9 ქულა, 11 მოხსნა), პრაისი (7), მობლი (2), ბალარდი (2)**

არცთუ რიგიანი სტარტის შემდეგ ნიუ ჯერსიმ თავისი ძალისა ირწმუნა და ჰიუსტონს შინ ბრძოლის ჟინით ალსავსე დაუხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმებით შეჭირვებულს თავისი ლიდერის — სემ კასელის გარეშე უხდებოდა ორგზის ჩემპიონთან შებმა. არც ჰიუსტონი ეწვია ალმოსავლეთს სრული შემადგენლობით. წლეულს გუნდის უპირველეს ბომბარდირსა და მომხსნელს, ჩარლზ ბარკლის მუხლის ტრავმამ ზედიზედ მესამე მატჩი გამოატოვებინა, მაგრამ ტეხასელებს ხომ სკოტი პიპენი ჰყავთ. ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური მოთამაშე უკვე გაუშინაურდა 1994 და 1995 წლების ჩემპიონს და მის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა მცირე უპირატესობა და პირველი მეოთხედის ბოლოს ნიუჯერსელები 9 ქულითაც დაწინაურდნენ. მატჩი ასევე დაძაბულად გაგრძელდა, თუმცა ნიუ ჯერსი გამუდმებით ლიდერობდა და ბოლო მეოთხედში ექვსქულიანი უპირატესობით შეაბიჯა 69:63. რა არის ამ სხვაობის გაბათილება ჰიუსტონის დარი გუნდისთვის, სადაც სკოტი პიპენიც თამაშობს? — მან ბოლო თორმეტწუთეულში 11 ქულა მოიმკო. ლიდერს ბებერი ცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონიც წაეხმარა, რომელმაც ამ მონაკვეთში 6 ქულა მიითავალა, ძირითადი დროის დამთავრებამდე 4,4 წამით ადრე ნახტომში ჩააგდო და ანგარიში 85:85 გახადა. ერთობ დაძაბული გამოდგა ოვერტაიმი. მასპინძლები თავგამოდებით იბრძოდნენ, მათ კი პიპენი და ოლაჯუონი პასუხობდნენ. ანგარიში 92:92 იყო და მაშინ, როცა ყველა მეორე ოვერტაიმს ელოდა, პიპენის მეურვე სკოტ ბარელი მასზე დაჯარიმდა, მატჩის დამთავრებამდე კი 3,3 წამი რჩებოდა. მსაჯების გადაწყვეტილებამ ბარელი ალაშფოთა და მათთან დავა-კამათს მიჰყო ხელი, თუმცა, რა თქმა უნდა, არაფერი გამოუვიდა, პიპენის მიერ ზუსტად შესრულებულმა საჯარიმომ კი გამარჯვება სტუმრებს მოუტანა. ალსანიშნავია, რომ ჰიუსტონელი მთელი მატჩის განმავლობაში ჩაგრავდა ნიუჯერსელს, ვისთან ერთადაც წინა სეზონში „ჩიკაგო ბულზში“ თამაშობდა — მაშინ ბარელი პიპენის შემცვლელი გახლდათ.

### ტორონტო 88:95 ვაშინგტონი

**ტორონტო: ვილისი (25 ქულა, 14 მოხსნა)**
**ვაშინგტონი: რიჩმონდი (31), სტრიკლენდი (23 ქულა, 14 პასი)**

დედაქალაქური გუნდი „ვაშინგტონ ვიზარდსი“ ვითომდა სერიოზული მიზნებით ეგებებოდა სეზონს, მაგრამ მისი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად ჩაუვარდა სტარტი და ხუთი მატჩიდან ოთხი დათმო — აქედან ბოლო სამი ზედიზედ. ამით გახელებულმა „ჯადოქრებმა“ ტორონტოელები გამოიჭირეს და ანგარიშში მცირე სხვაობის მიუხედავად, მეტად იოლად სძლიეს მასპინძლებს. უკანახაზელებმა, როდ სტრიკლენდმა და მიჩ რიჩმონდმა, რომლებსაც წინა შეხვედრებში თავი დიდად არ გამოეჩინათ, წლეულს თავიანთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. აქამდე სუსტად მოთამაშე ექსსაკრამენტოელი რიჩმონდი თანდათან გონს მოდის და იმ ძველ რიჩმონდს ემსგავსება, 20 და მეტი ქულის გაკეთება ყოველ მატჩში რომ ძულუძს. „დასავლეთში სხვანაირ კალათბურთს თამაშობენ — თავს იმართლებს იგი — უდავოა, მე და როდს (სტრიკლენდი) შეთამაშება გვჭირდება, ამას კი დრო უნდა.“

### ინდიანა 99:95 ფილადელფია

**ინდიანა: ა. დევისი (16)**
**ფილადელფია: აივერსონი (33), გეიგერი (22)**

ორი დღის წინ ინდიანამ მაიამისთან 78:89 რომ წააგო, გუნდის მწვრთნელმა ლარი ბერდმა თავის შეგირდებს კარგად დაუცაცხანა და ამათაც ფილადელფიასთან თავი გამოიდეს. მოულოდნელად მომძლავრებული ფილადელფია სულაც არ გამოდგა იოლი ლუკმა მასპინძელთათვის. სტუმართა ლიდერმა და ერთადერთმა ნამდვილმა ვარსკვლავმა ალენ აივერსონმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა, თუმცა იგი და ჯანიანი თეთრი ცენტრი მეტ გეიგერი მაინც ვერას გახდნენ ინდიანელ „მარდებთან“, რომელთაც კოლექტიური თამაშის წყალობით სძლიეს სტუმრად გამარჯვების მაძიებელ გუნდს.

### კლივლენდი 98:74 ნიუ იორკი

**კლივლენდი: კემპი (20)**
**ნიუ იორკი: იუინგი (14)**

წესით, კლივლენდს უნდა წაეგო, რადგან ყოველთვის უჭირდა ნიუ იორკთან, განსაკუთრებით კი მის სუპერცენტრ, პატრიკ იუინგთან გამკლავება. სტუმართა წისქვილზე ისიც ასხამდა წყალს, რომ მძიმედ დაშავდა კლივლენდის ძირითადი ცენტრი, ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასი. მან მარჯვენა ტერფი მოიტეხა და თავისიანებს მთელ სეზონს ვერ დაეხმარება. ილგაუსკასისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის, 1996 წელს ასეთივე ტრავმამ მას მთლიანად გამოატოვებინა 1996-97 წლების სეზონი. ძნელი სათქმელია, რა იქნება მომავალში, მაგრამ ნიუ იორკთან შეხვედრაში კლივლენდს სულაც არ უგრძნია ლიტველის არყოლა. ილგაუსკასის ადგილი უკრაინელმა ვიტალი პოტაპენკომ დაიკავა და 17 ქულასთან ერთად 12 მოხსნაც მიითვალა, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე მისმა მეურვემ და ნიუ იორკის ლიდერმა პატრიკ იუინგმა. კლივლენდმა ნიუ იორკს აჯობა, ისევე როგორც ახალგაზრდა, ჯანლონით ალსავსე უკრაინელმა ბებერ იუინგს, რომელმაც შარშან გადატანილი საშინელი ტრავმის გამო, თითქმის მთლიანად გაცდენილი სეზონის შემდეგ ფორმა ვერ აღიდგინა. მატჩის მერე იუინგმაც აღიარა ეს: „დიდი ჯაფა დამადგა, პოტაპენკომ ფაქტობრივად, მაჯობა და ჩემზე გაცილებით უკეთ ითამაშა.“

კლივლენდმა კი სტარტზე განცდილი სამი მარცხის შემდეგ ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო.

### იუტა 97:86 დენვერი

**იუტა: რასელი (21), ჰორნაჩეკი (19)**
**დენვერი: ვან ექსელი (19)**

სიეტლთან სამარცხვინო წაგების შემდეგ, როდესაც იუტამ მხოლოდ 56 ქულა დააგროვა და ცოტალა დააკლდა ნაციონალური ლიგის ისტორიის ანტირეკორდამდე (55 ქულა), მან მეზობელ დენვერზე იყარა ჯავრი. სტუმრები პირველ ნახევარში კი უძალიანდებოდნენ „ჯაზის“ შემოტევებს და იქითაც პასუხობდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედში ჯეფ ჰორნაჩეკმა მათ 13 ქულა ჩაუგდო და ამ მონაკვეთის 29:19 მოგებით მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 6 | 2 | 75,0 |
| მაიამი | 5 | 3 | 62,5 |
| ფილადელფია | 4 | 3 | 57,1 |
| ნიუ იორკი | 4 | 3 | 57,1 |
| ბოსტონი | 3 | 3 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 2 | 4 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 5 | 28,6 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 5 | 1 | 83,3 |
| ატლანტა | 5 | 2 | 71,4 |
| ინდიანა | 5 | 3 | 62,5 |
| კლივლენდი | 4 | 3 | 57,1 |
| დეტროიტი | 3 | 5 | 37,5 |
| ტორონტო | 1 | 5 | 16,7 |
| ჩიკაგო | 1 | 6 | 14,3 |
| შარლოტი | 1 | 6 | 14,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 7 | 1 | 87,5 |
| ჰიუსტონი | 6 | 2 | 75,0 |
| მინესოტა | 5 | 2 | 71,4 |
| სან ანტონიო | 4 | 4 | 50,0 |
| ვანკუვერი | 3 | 4 | 42,9 |
| დალასი | 1 | 7 | 12,5 |
| დენვერი | 1 | 8 | 11,1 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 6 | 1 | 85,7 |
| პორტლენდი | 4 | 2 | 66,7 |
| ფინიქსი | 5 | 3 | 62,5 |
| ლეიკერსი | 5 | 3 | 62,5 |
| საკრამენტო | 4 | 3 | 57,1 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 5 | 37,5 |
| კლიპერსი | 0 | 6 | 0 |

## ევროლიგა. მე-16 ტური. 17-18 თებერვალი

### E ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 78:61 ცრვენა ზვეზდა**

ფენერბაჰჩე: აბი, აპაიდინი (14), ენდენი (5), გილმორი (4), კალამიზა (5), ქუთლუაი (20), ლოხმანჩუკი (4), მაკრეი (11), ტაბაკი (15)
ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი, იესტრატიევიჩი, პავიჩევიჩი (2), ს. პეკოვიჩი (19), ო. პეკოვიჩი (16), რაკოჩევიჩი, სტანოევიჩი (10), ტოპიჩი (14), ვიდაჩიჩი

**პო ორტეზი 66:69 ტდკ**

პო ორტეზი: აიშა (8), დევისი (7), ბატუ (5), ფუარე (14), დ. გადუ (7), ტ. გადუ (3), გრანტი (10), შოლტენი, სმიტი (12)
ტდკ: კაპ დე ვილა (8), კრეუსი (6), გონსალესი, ლავინა (3), მილი (20), მონტანესი (9), მოია, სინგლა, ვასკესი (5), ვილიამსი (18)

**ჟალგირისი 64:74 ციბონა**

ჟალგირისი: ადომაიტისი, ბოუი (11), იდნი (14), მასუილისი (4), მასკოლიუნასი (1), შესტოკასი (14), შტრომბერგასი (15), ზიდეკი, ი.ჟუკაუსკასი (2), მ.ჟუკაუსკასი (3)
ციბონა: ანტიჩი, გრგატი (28), კრსტიჩი (1), მარცელიჩი (17), ნიჩევიჩი (8), კრკაჩინი (6), ვრანკოვიჩი (14), ზემლიჩი

### F ჯგუფი

**ეფესი 107:91 ავტოდორი**

ეფესი: ბეშოქი (12), დალი, დრობნიაკი (9), ევლიაოღლუ (15), ნაუმოსკი (14), ონანი (2), სარიჯა (22), თურქჯანი (18), თურქოღლუ (15)
ავტოდორი: ეინიკისი (22), ფეტისოვი, ხიუნიაკი (3), ხრიაპა (12), მილოსერდოვი (8), ზ. პაშუტინი (20), ე. პაშუტინი (16), ჩიკალკინი (10)

**მაკაბი 94:78 ვარეზე**

მაკაბი: ალექსანდერი (19), ბენუა (6), გუდესი (14), პენფილდი (2), კატაში (30), პოპა, რადუნოვიჩი, შარფი, შეფერი (14), შელეფი (9)
ვარეზე: ალეგრეტი, დე პოლი (13), გალანდა (3), ჯადინი (8), მენეგენი (14), მრსიჩი (26), პოცეკო (7), სანტიაგო (7), ვან ვილსენი, ვესკოვი

**პანათინაიკოსი 86:63 ტაუგრესი**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (13), ბოდიროგა (25), ბუდურისი (9), ბურკი (14), ეკონომუ, ფოცისი (3), ჯენტილე, ჰუპმანი, რაჯა (22)
ტაუგრესი: ანგულო (1), ბენეტი (17), ბერიჩი (8), პორტილა, ესპილი (17), მილერა, ორტუნი (1), რუსკონი (6), სანდერსი (8), ვინტერსი (5)

### G ჯგუფი

**ცსკა 77:67 პაოკი**

ცსკა: დაინეკო (31), კარასიოვი (14), კირილენკო (4), კისურინი (1), კუდელინი (9), ნოსოვი (1), პანოვი (2), ტიხონენკო (11), ვეტრა (4)
პაოკი: ბალოიანისი (11), კოლდებელა (4), დესპოსი (2), ჟანულისი (19), მასლარინოსი (12), მორალესი (2), ნიკოლაიდისი (10), პერალი (7)

**ოლიმპიაკოსი 62:73 ტიმსისტემი**

ოლიმპიაკოსი: ადემანსა (1), ფასულასი (3), გოლდვირი (4), კომაზეცი (11), ობერტო (10), პაპანიკოლაუ (8), როჯერსი (10), ტარლაკი (4), ტომიჩი (10), ცალიკისი (1)
ტიმსისტემი: ბეტსი (9), დამიო (4), ფუჩკა (14), გაი, კარნიშოვასი (11), ლაცისი (15), მულაომეროვიჩი (10), მაიერსი (10), პილუტი

**კინდერი 80:58 სამარა**

კინდერი: ბინელი (4), კრიპა (3), ფროსინი (9), მაკრესი (ნესტეროვიჩი) (6), ოსალივანი (13), პანიჩი (6), რიგოდო (23), რუინი, სკონოჩინი (16)
სამარა: დოლოპჩი, დონსკოვი (4), გარჩინე (2), გრაჩოვი (18), იაილო (14), კისელიოვი (3), მალცევი (9), პეტენევი (2), საიტანი (2), სავკინი (4)

### H ჯგუფი

**რეალი 86:75 ზადარი**

რეალი: ანგულო (14), ბერდი (15), ბლანკო (3), ერეროსი (4), იტურბე (11), ლასა (17), ლიუკი, მარტინი (5), სანტოსი, სტრიულენსი (17)
ზადარი: ერცეგოვიჩი (9), ერიაჩი (2), კოვაჩიჩი (6), ლუისი (3), მუიაჯიჩი (17), ნაგლიჩი (15), პერიჩიჩი (11), პესტიჩი, ი.რუჟიჩი (9), ტ.რუჟიჩი (3)

**ოლიმპია 80:62 ულქერი**

ოლიმპია: ბრეზეცი (1), დუშჩაკი (5), იურკოვიჩი (7), კოტნიჩი (12), კრალევიჩი (14), მაკდონალდი (2), მუტარჯიჩი (6), ნოვაკი (8), ტეილორი (7), ზდოვცი (18)
ულქერი: ასიკი (2), ალიპოჯიჩი (2), ანდერსონი (5), ერდენაი (18), რენკინი (13), ტაბაი (7), ტეკინალპი (4), თუნჩერი (11), ილდირიმი

**ვილერბანი 82:88 ალბა**

ვილერბანი: ადამსი (10), ბილბა (16), ბლომი (6), დიგბო (8), ჰენრი (13), პერსევო (2), პლუვი (7), რადი (20)
ალბა: ალექსისი (28), ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (2), გარისი (12), ჰამინკი (17), ლუტკე (3), პეშიჩი (12), როდლი (9)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 64:59 | 64:74 | 70:67 | 75:66 | 91:65 | 12 | 4 | 1259:1184 | 28 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | | 66:61 | 78:71 | 76:66 | 78:61 | 9 | 7 | 1209:1188 | 25 |
| 3 | ციბონა | 71:79 | 85:84 | | 66:56 | 54:61 | 77:80 | 8 | 8 | 1114:1137 | 24 |
| 4 | პო ორტეზი | 56:66 | 73:48 | 76:79 | | 66:69 | 70:61 | 8 | 8 | 1173:1132 | 24 |
| 5 | ტდკ | 78:80 | 71:62 | 67:79 | 51:69 | | 74:59 | 5 | 11 | 1047:1141 | 21 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 77:69 | 88:66 | 66:69 | 75:85 | 88:60 | | 4 | 12 | 1122:1185 | 20 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 67:58 | 82:71 | 86:63 | 86:76 | 15 | 1 | 1211:1048 | 31 |
| 2 | ეფესი | 53:80 | | 81:74 | 83:72 | 71:67 | 107:91 | 11 | 5 | 1166:1148 | 27 |
| 3 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | | 94:78 | 104:64 | 92:69 | 7 | 9 | 1225:1161 | 23 |
| 4 | ვარეზე | 63:54 | 67:57 | 100:96 | | 86:78 | 95:73 | 7 | 9 | 1253:1277 | 23 |
| 5 | ტაუგრესი | 74:77 | 83:61 | 79:76 | 75:72 | | 80:60 | 7 | 9 | 1208:1252 | 23 |
| 6 | ავტოდორი | 73:76 | 66:77 | 83:73 | 73:70 | 64:81 | | 3 | 13 | 1190:1324 | 19 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 74:76 | 62:73 | 57:71 | 85:63 | 11 | 5 | 1160:1086 | 27 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 86:65 | 72:74 | 78:56 | 80:58 | 10 | 6 | 1099:974 | 26 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | | 69:67 | 77:67 | 79:68 | 10 | 6 | 1206:1155 | 26 |
| 4 | ტიმსისტემი | 60:63 | 67:65 | 83:69 | | 76:61 | 77:58 | 9 | 7 | 1100:1039 | 25 |
| 5 | პაოკი | 72:66 | 71:57 | 69:71 | 68:59 | | 85:66 | 7 | 9 | 1128:1144 | 23 |
| 6 | სამარა | 70:81 | 61:71 | 62:89 | 59:71 | 84:77 | | 1 | 15 | 1067:1326 | 17 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | | 64:54 | 76:84 | 80:62 | 66:59 | 76:65 | 13 | 3 | 1142:1014 | 29 |
| 2 | ვილერბანი | 77:68 | | 77:73 | 72:56 | 82:88 | 69:61 | 9 | 7 | 1143:1138 | 25 |
| 3 | რეალი | 67:68 | 71:70 | | 72:85 | 74:63 | 86:75 | 9 | 7 | 1247:1197 | 25 |
| 4 | ულქერი | 61:71 | 86:64 | 85:83 | | 76:65 | 62:55 | 7 | 9 | 1110:1168 | 23 |
| 5 | ალბა | 57:75 | 73:71 | 79:64 | 87:63 | | 78:85 | 6 | 10 | 1144:1220 | 22 |
| 6 | ზადარი | 61:72 | 74:56 | 68:73 | 73:85 | 79:82 | | 4 | 12 | 1064:1149 | 20 |

### მერვედფინალში დაწყვილდნენ

ჟალგირისი — ულქერი
ფენერბაჰჩე — რეალი
ვილერბანი — ციბონა
ოლიმპია — პო ორტეზი
პანათინაიკოსი — ტიმსისტემი
ეფესი — ცსკა
კინდერი — მაკაბი
ოლიმპიაკოსი — ვარეზე

*შეხვედრები გაიმართება 2 მარტს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე*

# ჟენიას დღეობაზე

**როტერდამი. ჰოლანდია. ABN/AMRO-ს საჩოგბურთო პირველობა დარბაზი. ხალიჩა. საპრიზო 850 ათასი $**

18 თებერვალს ევგენი კაფელნიკოვმა თავისი 25-ე დაბადების დღე იზეიმა. კარიერაში საუკეთესო-კლასიფიკაციის მეორე საფეხურზე მყოფ, ორიოდ კვირის წინ დიდი სლემის ტურნირის მოგებ და ამ თვენახევრის მანძილზე ნახევარ მილიონ დოლარზე მეტით გამდიდრებულ ჟენიას სასიხარულო მართლაც ჰქონდა.

კაფელნიკოვის (2) მეტოქეს, ნიჭიერ, მაგრამ უსაშველოდ ზარმაც ჰიშამ არაზის კი ამ დღეს აშკარად არ გაუმართლა. ჩია მაროკოელი, რომელსაც რუსი აქამდე ორჯერვე დაემარცხებინა, სასტიკი შურისძიების მსხვერპლი შეიქნა — შესანიშნავ გუნებაზე მყოფი რუსი ფაქტობრივად, უშეცდომოდ თამაშობდა, ბურთი კორტის ერთი კიდიდან მეორეზე გადაჰქონდა და სხარტ მავრსაც უმოწყალოდ არბენინებდა. ბოლოს კი, როდესაც შემოკლებულით ბადესთან გატყუებული, მერე კი აბრაგანს უკანვე გადევნებული ერთხელაც გაბრიყვდა, არაზი კორტზე გაიშოტა, მეტი აღარ შემიძლიაო.

მოკლე, მაგრამ თვალსასეირო მატჩი 6:1, 6:2 დასრულდა კაფელნიკოვის სასარგებლოდ, რომელსაც როტერდამის ტურნირის მოგების შემთხვევაში მსოფლიოს პირველი ჩოგნობამდე ხელის გაწვდენაღა დარჩება.

„კაფელნიკოვი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის რუსეთში. სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩოგბურთი იქ კიდევ არსებობს" — პატივი მიაგო უფროს კოლეგას მის შემცვლელად შეგულებულმა 19 წლის მარატ საფინმა.

მეორე წრეში თანამემამულეს მხარი საფინმაც აუბა: 210 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოწოდებული არაერთი ეისისა და უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმების წყალობით, ზედიზედ მეორე ტურნირზე დაამარცხა სლოვაკი დომინიკ ჰრბატი 7:6 (7:4), 5:7, 6:3 და მეოთხედფინალსაც უწია.

ტურნირის ორგანიზატორებისთვის სამწუხაროდ, ნაადრევად დაასრულა ასპარეზობა მაყურებელთა მთავარმა სატყუარამ, მასპინძელმა რიჩარდ კრაიჩეკმა (4). 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონს, რომელსაც ჰოლანდიის ჩოგბურთის ფედერაციის 100 წლისთავის აღსანიშნავად სულ მალე საფოსტო მარკებზე წამოჭიმვის პატივი ერგება, მეტად უხერხული მეტოქე ჰყავდა — ფრანგი სედრიკ პიოლინი.

კრაიჩეკი მთელი მატჩის მანძილზე კი ფლობდა ინიციატივას, მაგრამ პირველ სეტში ექვსი ბრეიკ-პოინტი გაანიავა, მეორეში 3:0 უპირატესობა და სამი სეტ-პოინტი, და საბოლოოდ დაძაბული მატჩი და ზედიზედ მესამე პირადი შეხვედრა 6:7 (5:7), 6:7 (10:12) წააგო ფრანგთან.

**მეორე წრე:** ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — პეტერ კორდა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; გრეგ რუზეცკი (5, ინგლისი) — ედვინ კემპესი (ჰოლანდია) 6:1, 6:4; კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:4; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 5:7, 6:3, 7:6 (7:4).


REUTERS როტერდამიდან

ევგენი კაფელნიკოვი

**ჰანოვერი. გერმანია. ფაბერის გრან პრი. დარბაზი. ხალიჩა საპრიზო 500 ათასი $**

ზუსტად ერთი წლის წინ სწორედ ჰანოვერის ტურნირზე შედგა შტეფი გრაფის მეორედ მოსვლა ჩოგბურთში. მუხლის ოპერაციის გამო სპორტს დიდი ხნით ჩამოშორებულ ლეგენდარულ გერმანელს თანამემამულეები ფეხზე დამდგარნი და ხანგრძლივი ოვაციებით რომ დაუხვდნენ, „რკინის ლედისაც" კი არ გაუძლო გულმა და ცრემლებად დაიღვარა: „ის მომენტი ნებისმიერ მატჩზე უკეთ მახსოვს. სწორედ მსგავსმა მხარდაჭერამ შემაძლებინა ყველა წინააღმდეგობის დაძლევა".

ახლა, ერთი წლის შემდეგ, შტეფი, მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი, ისევ ნებისმიერი ტურნირის უპირველესი ფავორიტი და ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებსასურველი მოწინააღმდეგეა. ამაში მისი მერვედფინალ-მეოთხედფინალის მეტოქეები, შესაბამისად ფრანგი ანა-გეილ სიდო და ავსტრიელი ბარბარა შეტიც შესანიშნავად დარწმუნდნენ, რომელთაც გრაფმა თითქმის იდენტური ანგარიშებით — 6:1, 6:3 და 6:3, 6:2 მოუგო.

„შტეფის სხვა სახე და სხვა სახელი რომ ჰქონოდა, იქნებ ცოტა უკეთ მეთამაშა, მაგრამ ბადის მეორე მხარეს მისი დანახვა ძალიან დამრთგუნველია. ის ისევ გიჟურ ტემპში თამაშობს, ასე თუ გააგრძელა, არ გამიკვირდება, ისევ პირველი რომ გახდეს" — განაცხადა მარცხის შემდეგ ტურნირზე მერვედ განთესილმა შეტმა.

უკმაყოფილო საკუთარი თამაშით, ბუნებრივია, არც გრაფი ყოფილა: „ამჟამად შესანიშნავ ფორმაში ვარ. არანაირი ფიზიკური პრობლემა არ მაწუხებს, ბოლო 10 დღეა, კარგად ვარჯიშის შესაძლებლობაც მომეცა, რაც დიდ თავდაჯერებას მმატებს".

მეორე წრის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის პატი შნიდერის (4) მარცხი იყო. 20 წლის შვეიცარიელი რუს ელენა ლიხოვცევასთან მატჩში საკუთარ თავს არ ჰგავდა, მეტად პასიურად ირჯებოდა და მატჩ-პოინტზე ორმაგი შეცდომითაც დაასრულა ასპარეზობა 5:7, 3:6.

**მეორე წრე:** იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:3; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:4, 7:5; მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) — ნატალი ტოზია (5, საფრანგეთი) 6:4, 6:4; სანდრინ ტესტიუ (6, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:3, 6:3; ბარბარა რიტნერი (გერმანია) — სილვია ფარინა (8, იტალია) 6:2 — ტრავმა.

ავთანდილ სვანიძე

ოლიმპიზმი

# შენც კაი ოხერი ყოფილხარ, დიკ!




აშშ-ის სამართლის დეპარტამენტმა სოლტ ლეიკ 2002-ის სამექრთამეო საქმის მასალათა მოკვლევა დაიწყო. როგორც გენერალური პროკურორის მოადგილემ ერიკ ჰოლდერმა განაცხადა, ამ ბინძურ ამბავს 4 ბრალმდებელი და გამოძიების ფედერალური ბიუროს 15 აგენტი გამოიკვლევს. „ეს არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ინტერესებში შედის" — უთქვამს პირუთვნელ მოადგილეს.

და კიდევ: როგორც სოლტ ლეიკიდან მოსული უკანასკნელი ინფორმაციით ირკვევა, იუტელთა ანგარებიანი კეთილგანწყობით სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ პაუნდსაც უნდა ესარგებლა. ეს მონრეალელი ადვოკატი, რომელიც თავად იძიებდა სოლტ ლეიკელთა მიერ თანა-სოკ-ელების პატივნაცემობის ფაქტებს, თავადაც კარგად პატივნაცემი ყოფილა. ოღონდ, კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო ფულს, უფასო არდადეგებსა და სამზარეულოს მოწყობილობებს არჩევდნენ, დიკ პაუნდმა იქაური მორმონებისაგან არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი გვარის გენეალოგიური ისტორია მიიღო. სოლტ ლეიკის მორმონთა კვლევითი ცენტრი ამ დარგში უძლიერესად მიიჩნევა და მისი სამსახურისთვის თავთავის დროზე პრეზიდენტებს რეიგანსა და კლინტონსაც მიუმართავთ. ერთი ეგაა, ორივე მათგანმა ამ საქმეში ნოყიერი თანხა ჩადო. აი, პაუნდს კი, 50 ათას დოლარად ღირებული სამუშაო 1 ცენტის გადაუხდელად გაუკეთეს. ასე რომ, შენც კუთხეში დადექი, დიკ!

ლევან ძელაურაძე

ავტორბოლა

# პროფესორი ჩამორჩენილებს ამეცადინებს

ფრანგი „პროფესორის" გუნდმა შარშან მხოლოდ 1 ქულის მოგროვება შეძლო და აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა. მდგომარეობას სასწრაფოდ სჭირდებოდა გამოსწორება და პროსტმა კვლავ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო — ახალი მოდელის შესაქმნელად ცნობილი კონსტრუქტორი ჯონ ბარნარდი მიიწვია (უფრო სწორად მისი საკონსტრუქტორო ფირმა „B"-3). სწორედ ამ კონსტრუქტორის მიერ აგებული „მაკლარენით" მიაღწია წარმატებებს ალენმა და ახლაც იმედი აქვს, რომ ფორმულა 1-ის გენია კვლავ დაეხმარება მას.

მართლაც, ახალ ბოლიდს აშკარად ეტყობა, რომ ბარნარდის კონცეფციის მიხედვით არის აგებული. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ იგი გარეგნულად მეტად სადაა.

პროსტს იმედს ისიც აძლევს, რომ გუნდის ტექნიკური პერსონალი წლეულს რიცხობრივად გაიზარდა. გაუმჯობესდა ურთიერთობა ძრავას მომწოდებლებთან, რომლებიც გაუმჯობესებულ აგრეგატს მიაწვდიან გუნდს.

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ გუნდის შემადგენლობა არ შეცვლილა.

ოლივიე პანისთვის შარშანდელი სეზონი მეტად მძიმე იყო. პილოტი ავარიის შედეგად მიღებული სტრესისგან უნდა გათავისუფლებულიყო. ძნელია, მიუჯდე საჭეს, როდესაც იცი, რომ მცირე შეჯახებამაც კი შეიძლება სამუდამოდ მიგატოვებინოს სპორტი. მაგრამ პროსტი მხარში ამოუდგა თავის მრბოლს და ოლივიეს თავდაჯერება შემატა. წლეულს კი, ალბათ, უკეთ იასპარეზებს.

მეტად სწრაფი და პერსპექტიული პილოტია იარნო ტრულიც. მას ნამდვილად შესწევს ძალა, თავისი წვლილი შეიტანოს გუნდის წარმატებაში.

გუნდის სახელოვანი მფლობელის აზრით, წლეულს მისი ბიჭები ქულების მოსაპოვებლად იბრძოლებენ, ხოლო თუ იღბალიც შეუწყობთ ხელს, ლიდერებთან მიახლოებასაც შეძლებენ. წლევანდელ მოსალოდნელ მძაფრ კონკურენციას თუ გავითვალისწინებთ, ეს ადვილი საქმე არ იქნება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ „პროფესორს" ტყუილად ლაპარაკი არ სჩვევია.

ალეკო ჭაბუკიანი

## პროსტ გრან პრი



**ოლივიე პანი**

საფრანგეთი

დაიბადა 1966 წლის 2 სექტემბერს ლიონში (საფრანგეთი)

ცხოვრობს გრენობლში (საფრანგეთი)

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ბრაზილიის დიდი პრიზი („ლიჟიე")

75 რბოლა, 1 გამარჯვება, 54 ქულა

PROST

გუნდის შეფი ალენ პროსტი

დიზაინერი ლუაკ ბიგუა

შასი: პროსტ AP02 (მომზადებულია „B3"-ის მიერ)

ძრავა: პეჟო A-18 V-10

საბურავები: „ბრიჯსტოუნი"

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1976, ბრაზილიის დიდი პრიზი (როგორც „ლიჟიე")

359 რბოლა, 9 გამარჯვება, 9 პოული, 11 საუკეთესო წრე, 411 ქულა

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP




**იარნო ტრული**

იტალია

დაიბადა 1974 წლის 13 ივლისს პესკარაში (იტალია)

ცხოვრობს ფრანკავილაში (იტალია)

უცოლო

1996 წლის გერმანიის ჩემპიონი ფორმულა 3-ში

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი („მინარდი")

30 რბოლა, 4 ქულა




ფრანგი „პროფესორი" ალენ პროსტი (მარჯვნივ) და მისი გუნდი: იარნო ტრული, ტესტ-პილოტი სტეფან სარაცინი და ოლივიე პანი




# მხიარული ქარის წისქვილი

## რეი ვაიტის დაუვიწყარი გამონაგონი

ახლა რეი ვაიტი სამოცი წლისაა და კალიფორნიაში, პატარა ოუკ ვიუში ცხოვრობს. ამ სოლიდური იერის, სადად ჩაცმულ-დახურულ კაცში ძნელად თუ ამოიცნობთ წარსულის პოპულარულ, თუმც კი უტიტულო მოკრივეს, რომლის ჩხუბის საცქერლადაც ხალხი დარბაზების კარებს ამტვრევდა.

მაგრამ ლაპარაკს დაიწყებს თუ არა, მიხვდები, რომ მისი ოხუნჯობანი სულაც არ არის უბრალოდ ოხუნჯობანი, არამედ მისტერ ვაიტის ცხოვრების წესია, ყოველდღიურ ყოფასთან შეზრდილი ქცევათა მთელი სისტემა.

დღეს, როცა უპირველეს ოხუნჯად კალათბურთელი დენის როდმანი ითვლება, სპორტული იუმორის ფასი მეტად საეჭვო და სადავო ხდება. 60-იან წლებში კი...

მოკრივეთაგან თქმულა, კრივის ყველაზე ეფექტური კომბინაცია განთქმული მარცხენა-მარჯვენა, ანუ „ერთი-ორიაო". ეს კი გულისხმობს, რომ მოსხლეტილ მარცხენა ჯებს, მძლავრი მარჯვენა კროსი უნდა მიაყოლო. თუ ამ კომბინაციას სუფთად და ზუსტად ჩაატარებ, ჩათვალე, რომ საქმე სანახევროდ მაინც მოგვარებული გაქვს. ასე ყოფილა ჯონ სალივანის დროიდან, რომელმაც გამოიგონა ხსენებული კომბინაცია და ასეა დღესაც.

თავის რვაწლიან საკრივო კარიერაში, რომლის გვირგვინიც ის იყო, რომ რეი ვაიტი ქვემძიმე წონის პრეტენდენტობამდე აღზევდა, იგი ხშირად იყენებდა ხსენებულ კომბინაციას, მაგრამ არასოდეს იწყებდა მას ცაცია ჯებით.

„ეგებ სულელი ვიყო", — ამბობს ვაიტი დღეს, — „მაგრამ მე მერჩივნა ორჯერვე მარჯვენათი დამერტყა. თუ, რა თქმა უნდა, მოვასწრებდი".

უცნაური, მოულოდნელი დარტყმებისა და კომბინაციების ოსტატი, რეი ვაიტი, არასოდეს ყოფილა დიდი მოკრივე. ეგებ ოდესმე შეეძლო გამხდარიყო ასეთი, მაგრამ გულმა სხვა მხარეს გაუწია.

რატომ უწოდებდა ამერიკული საკრივო მედია რეი ვაიტს „დაშაქრულ ლიმონს"?

ის პაროდისტი გახლდათ: ის ამახინჯებდა საკრივო კომბინაციებს, აჯავრებდა სხვადასხვა მოკრივეებს, ძველმოდურ დარტყმებს, ახალმოდურ დაცვის სისტემებს და ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად. მაგრამ საყოველთაო სიცილ-ხარხარსა და ტაშისცემაში, ვაიტს მწარედ მორტყმაც შეეძლო. ის მოკრივე იყო, მაგრამ უფრო კომედია იზიდავდა.

ორმოცდაათიანი წლების მიწურულს გადაეწყვიტა პროფესიონალად გახდომა. კასიუს კლეისა არ იყოს, ლუიზიანელი იყო, ოღონდ მონტროში დაბადებული და გაზრდილი. პირველი ნაბიჯები უიღბლო გამოუვიდა — სამი ბრძოლიდან ორი წააგო და საზღვაო ფეხოსნებში ჩაეწერა ჯარისკაცად. ამის შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა და ვაიტი კვლავ გამოჩნდა რინგზე.

ცამეტი ბრძოლა გამართა და განსაკუთრებული არც არაფერი: რვა გამარჯვება, ხუთი მარცხი და ერთი ფრე.

სწორედ ამ დროს შეხვდა სახელიან მოკრივეს, სკორპიონ ჯონსონს. ეს ბრძოლა სან დიეგოში გაიმართა. ვაიტს აქამდე არასდროს ეჩხუბა ათრაუნდიან ორთაბრძოლაში, მაშინ, როცა ჯონსონი უკვე განთქმული იყო თავისი შერკინებით იმ დროის განთქმულ მძიმეწონოსნებთან, ჯერი ქვორისთან, ედი მერჩენთან და ჯო ფრეზერთან.

აბა წარმოიდგინეთ: ფრეზერს თექვსმეტჯერ ებრძოლა და ამდენჯერვე ნოკაუტით მოეგო. მეჩვიდმეტე მოწინააღმდეგედ ჯონსონი ჰყავდა და იოლ გასეირნებას გეგმავდა ლოს ანჯელესის ოლიმპიურ ცენტრში.

„არასოდეს გამივლია ასეთი ჯოჯოხეთი", — დღესაც იმეორებს ფრეზერი, რომელმაც ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ გვარიანად იტანჯა. როდესაც რეფერიმ ფრეზერს ააწევინა ხელი, რინგი ფულით იყო მოფენილი. ცხრა ათასი მაყურებელი წაგებულს ასაჩუქრებდა და ხმაშეწყობილი ყვიროდა: „სკორპიონ! სკორპიონ!"

აი, ასეთ კაცს ხვდებოდა რეი ვაიტი, რომელიც აქამდე ანდერქარდებში მონაწილეობით თუ იყო ცნობილი. სხვადასხვა კლასის მოკრივენი იყვნენ და ვაიტისთვის ცხადი იყო, რომ წააგებდა, მაგრამ ნოკაუტი ერცხვინებოდა.

რეი ვაიტი: „განწირული ვიყავი, მაგრამ გადავწყვიტე არაფრისდიდებით წავქცეულიყავი. მერჩივნა, დისკვალიფიკაციით წამეგო, ვიდრე ნოკაუტით. გონების გახსნილობას არასოდეს ვუჩიოდი და ტაქტიკაც შევიმუშავე".

სკორპიონ ჯონსონი: „მახსოვს ის ბრძოლა. გავცოფდი. ვუყვიროდი მოგკლავ-მეთქი. დღეს სასაცილოა, მაგრამ მაშინ გონება გადამეკეტა".

ბრძოლა ისე მიმდინარეობდა, როგორც მოელოდნენ — ჯონსონი პირწმინდად იგებდა.

და უეცრად წარმოდგენა დაიწყო.

უკვე გვარიანად ნაცემი ვაიტი ამოძრავდა, ათამაშდა, რინგზე ცეკვით სირბილს მოჰყვა და მუშტების სასაცილოდ ქნევა დაიწყო. მისი დარტყმები კარიკატურული იყო, მოძრაობა — საგანგებოდ მოუხეშავი. კენგურუსავით ხტოდა. იგონებდა დაუჯერებელ ილეთებს, და ასორტიმენტს თანდათან აფართოვებდა, კომიკურ ტაქტიკას აღრმავებდა.

ხალხი აღტაცებული იყო, რეფერი — ოდნავ დაბნეული. დისკვალიფიკაციაზე არც უფიქრია. ერთადერთი, ვინც უკმაყოფილო იყო და თანდათან მხეცდებოდა, სკორპიონი იყო. ის ვერ ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა იყო და არა გასამარჯვებელი ტაქტიკა. ეს ნამდვილი ბუფონადა იყო. კომიკური გმირი და პირლია, გაბრაზებული ბიჭი, რომელიც გამხეცებული, მთელის სერიოზულობით უტევს.

„მომკლავდა, ნაღდად მომკლავდა", — იხსენებს ვაიტი, რომელმაც დაუნანებლად წააგო ბრძოლა, მაგრამ ტაში და მხიარული შეძახილები დაიმსახურა.

„ქარის წისქვილი აგიჟებს სკორპს და აგებს ბრძოლას", — ასეთი იყო ასოშეიტედ პრესის სათაური მეორე დილით.

„ქარის წისქვილიც" იმ დილიდან შეერქვა. ის ტრიალებდა, როგორც ქარის წისქვილიო.

მთავარი კი ის იყო, რომ რეი ვაიტის საკრივო კომედია არ გამოვიდა იაფფასიანი. ეს გემოვნებიანი სანახაობა იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, დახვეწილი და მართლა სასაცილო.

„სკორპიონთან გავძელი ნახევარ საათს და სხვის წინააღმდეგ ველარ გავძლებდი?" — ამ ბრძოლამ რწმენა შემატა ვაიტს.

მომდევნო შვიდ წელიწადს ის რინგზე იდგა და ირჯებოდა, როგორც მულტფილმის გმირი. ხვდებოდა საკმაოდ ძლიერ მძიმეწონოსნებსა და ქვემძიმეწონოსნებს და საკმაოდ ხშირად იმარჯვებდა კიდეც. გაჩნდა ახალი მეტსახელი „უფლისწული-კლოუნი", მოვიდა დიდი ფული.

არც ის იყო გასაკვირი — ის ქმნიდა განუმეორებელ საკრივო ატრაქციონს დასავლეთის სანაპიროზე.

„ნაღდი, ჭკვიანი შოუმენი იყო", — იხსენებს მხცოვანი პრომოუტერი დუგ ჩარჯინი. — „ჩვენს კანტორაში არ წყდებოდა ტელეფონის ზარი. ხალხს აინტერესებდა, როდის გამოვიდოდა რინგზე რეი. რომ შეძლებოდა, ყოველ შაბათს მოუწევდა ჩხუბი".

ამასობაში, გაჩნდა დარტყმები, რომლებსაც თვითონ რეიც არქმევდა სახელს და ხალხიც. ვთქვათ, „დიდი ცხელი ჰამბურგერის ჩაკბეჩის აპერკოტი", „წყალქვეშა ნავიდან ამოფრენილი „ყვავის დარტყმა", ან კიდევ, მაყურებლის საყვარელი „თუ როგორ ტენის ბურთს კალათში უოლტონ ჩემბერლენი". იყო ასეთიც: „ხეს მოფარებული კაცის დარტყმა".

ზოგჯერ რეი ტყუილადაც გაგორდებოდა რინგზე და ამას „სანოკაუტო დასვენებას" ეძახდა.

სპორტულ გამარჯვებათაგან კი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ჩარლი „ბედ ნიუს" ოსტინთან მოპოვებული ნოკაუტი. როგორც სხვა ყველაფერი, არც ეს გამარჯვება გამოდგა ჩვეულებრივი. ჩარლი და რეი იმდენ ხანს ეძიძგილავენ ერთმანეთს, რომ მორიგი ხანგრძლივი კლინჩის დროს მოახერხეს და დარტყმები გაცვალეს, რისი შედეგიც ის იყო, რომ ორივენი რინგზე გაგორდნენ და რეი ვაიტმა უფრო ადრე მოახერხა წამოდგომა.

ერთხელ კი, 1969 წლის 1 ივლისს, „ქარის წისქვილმა" დასერიოზულება გადაწყვიტა. იმ საღამოს ხტივ გრანტს ხვდებოდა. ბრძოლა გახურდა. გავიდა ერთი რაუნდი, მეორე რაუნდი, მიილია მესამე. არაფერი. ხალხი გაოცებული იყო — დასტვენაც კი ვერ მოეხერხებინა. მესამე შესვენებაზე რეისთან რეფერი მივიდა და წასჩურჩულა: „გამოფხიზლდი, ვაიტ! რა მოგივიდა. დაიწყე, ხალხი იცდის". და მან დაიწყო და იყო დიდი სიცილ-ხარხარი და რეიმ გაიმარჯვა, თან ხალხიც გაახარა.

ვაიტის სტილი გადამდებიც კი აღმოჩნდა. სამხრეთ კალიფორნიაში გამოჩნდა ახირებული მოკრივე ფრენკ ნიბლეტი, რომელსაც მეტსახელად „სნეიქბაიტს", ანუ „გველის ნაკბენს" ეძახდნენ. „სნეიქბაიტი" ახირებული და ლაღო მოკრივე იყო და ეს საქმე (სარინგო ოხუნჯობა) ეხერხებოდა. იმავ 1969 წელს „გველის ნაკბენი" და „ქარის წისქვილი" ერთმანეთს შეხვდნენ. ბრძოლის წინ რეიმ თქვა: „მე უნდა დავიბნიო და ისე მოვუგო". ფრანკმა კი განაცხადა: „მე უნდა დავაბნიო და ისე მოვუგო". რეიმ ქულებით დაამარცხა მეტოქე, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი ის იყო, რომ მეშვიდე რაუნდის შემდეგ შეხვედრის ინსპექტორმა დიკ ანდერსონმა განაცხადა: „თუ მოკრივენი არ შეწყვეტენ მასხარაობას და ერთმანეთს არ დასცხებენ, ისინი ფულს ვერ მიიღებენ".

ეს იქეთ იყოს და რეი ვაიტის საკრივო სანახაობას კრიტიკოსი არ მოკლებია.

ერთ-ერთი ამათგანი იყო 60-იანი წლების ძალზე ცნობილი მოყვარული მძიმეწონოსანი კლეი ჰოჯესი, რომელსაც ორჯერ ეცემა ჯორჯ ფორმენი და არაფრით სურდა პროფესიონალებში გადასვლა, რახან ჰოლივუდში მსახიობობას ეშურებოდა.

„სანამ ხალხს ართობს", — ამბობდა კლეი, — „კრივს აზიანებს. მე არ ვამბობ, რომ რეი ცუდი ბიჭია, მაგრამ მან კრივი საცირკო ჭიდაობას დაამსგავსა. ეს სასაცილოა და თანაც სატირალიც".

ვაიტი ყოველთვის ცდილობდა, რომ მოწინააღმდეგე შეურაცხყოფილი არ დარჩენილიყო, მაგრამ ბევრ მათგანს არ ესმოდა, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. ხშირად გასახდელშიაც კი შეუვარდებოდნენ და მასზე იწევდნენ. მიზეზი ასეთი იყო: „ჩხუბზე საცოლე და მისი დედ-მამა მომიყვანია, შენ კი საცინად მიგდებ?"

„ერთხელ ორთაბრძოლის შემდეგ ტანთ ჩავიცვი და ბნელ არენაზე გამოვედი", — იხსენებს ვაიტი, — „ჩემი მოწინააღმდეგე თურმე მოფარებულში მელოდა. მომვარდა და კისერში დამცხო საშინელი ძალით. რა თქმა უნდა, არ გეტყვით მის გვარს, [illegible] მძიმეწონოსანი იყო".

გოლიათი რობი ჰარისი, რომელიც ორჯერ მძიმე იყო, ვიდრე „ქარის წისქვილი" და მზარდი სახელითაც ამაყობდა, ისე გამხეცდა, რომ მართლა მოკვლას უპირებდა.

კრივზე მწერლები და ლოს ანჯელესელი მესვეტეები სერიოზულად განსჯიდნენ ვაიტის საკრივო რაობას და წერდნენ, რომ ამ კაცის სარინგო კომედიის უკან იმალებოდა საოცარი ძალა, რადგან ძნელი იყო გეპოვნა მოკრივე, რომელიც რაიმეს დაუპირისპირებდა მის წარმოდგენას და ნერვები შერჩებოდა.

1971 წლის 22 მაისს ვაიტმა როჯერ როუზს, ქვემძიმე წონის ჩემპიონობის პირველ პრეტენდენტს სძლია და თქვა: „დადგა დრო, რომ გამოვტყდე: მგონია, ყველას დავამარცხებ და თვით ბობ ფოსტერსაც (ფოსტერი მაშინ ჩემპიონი იყო).

როუზმა კი განაცხადა: „ზედიზედ ხუთჯერ რომ შეხვდე რეის, ალბათ, მოარჯულებ, მაგრამ ერთხელ ვერაფერს მოახერხებ. მსგავსი არაფერი მინახავს".

ამ გამარჯვებით და კალიფორნიის ჩემპიონის ქამრით, მასხარა უფლისწული მსოფლიოს სარეიტინგო ცხრილში მოხვდა და ჩრდილოეთ ამერიკის კრივის ფედერაციის ქამრისთვის შეხვდა ჯიმი დუპრეს. თორმეტრაუნდიან ბრძოლაში დუპრემ იმარჯვა მსაჯთა ერთობლივი გადაწყვეტილებით. თუმცაღა, უპირატესობა მინიმალური იყო.

შემდეგ რეი შეხვდა მაიკ ქვორის და მსაჯთა მეტად სადავო გადაწყვეტილებით, კვლავ დამარცხდა: „ლოს ანჯელეს ტაიმსის" მესვეტემ დონ ჰაფერმა დაწერა ამ ორთაბრძოლის გამო: „ერთმანეთს შეხვდნენ კალიფორნიის საუკეთესო ქვემძიმეწონოსნები. ჩვენ ბევრს ვიცინით „ქარის წისქვილის" გამო, მაგრამ მას დაუმარცხებია ათწლეულის საუკეთესო ქვემძიმეწონოსნები ჩარლი ოსტინი და ორლანდო დე ლა ფუენტესი".

1973 წლის 29 იანვარს, ანაჰაიმის „ქონვენშენ სენთრში" ვაიტი კვლავ გავიდა ჩრდილოამერიკული ფედერაციის ქამრის მოსაპოვებლად, რომელიც მაიკ ქვორის უკვე წაერთმია ჯიმი დუპრესთვის. ქვორის რომ შერცხვენოდა, იტყოდა, ამ ბრძოლაში ფრეც არ მეკუთვნოდაო, მაგრამ ასე არ მოხდა.

სამაგიეროდ, „ქარის წისქვილი" ოხუნჯობდა: „კიდევ კარგი, არ მოვიგე. მერე ჩემპიონ ბობ ფოსტერთან მომიწევდა შეხვედრა. ბობი უკვე მოხუცია, ოცდათხუთმეტი წლისა მოყრილა. მე კიდევ ის კაცი არა ვარ, რომ მოხუცებს ვურტყა".

ასე გრძელდებოდა კიდევ ორიოდე წელიწადს, ხოლო შემდეგ, რეი ვაიტი რინგს გამოეთხოვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში „ქარის წისქვილს" მოეგო ორმოცდარვა ბრძოლა, წაეგო თხუთმეტი და ფრედ დაემთავრებინა სამი. დასანანი ის ჰქონდა, რომ ამ თავისი ცეკვა-თამაშის გამოისობით, ნოკაუტით წაგება „მოახერხა" ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლაში.

რეი ვაიტი: „პრეტენდენტ ჯესი ბარნეტს ვხვდებოდი სან დიეგოში. მერვე რაუნდში მაგარი მომარტყა და ნოკდაუნში გამისტუმრა. სწრაფად წამოვხტი, რეფერი კი ამბობს, ბრძოლა დამთავრდა, ნოკაუტიაო. რატომ-მეთქი და დავინახე, რომ ძალიან გეტკინაო. ხალხი უკმაყოფილო დარჩა".

შემდეგ კი წავიდა...

დღეს ის ჭარმაგი კაცია და თავისი ბიზნესი აქვს, ვიდეოჩანაწერების ფირმის პატრონია. თანაც, მოცეკვავეთა გუნდს მენეჯერობს და ოხუნჯობას მაინც არ იშლის: „თავის დროზე კრივი ცეკვად ვაქციე. ახლა ვაპირებ, ცეკვა ვაქციო კრივად".

ქარის წისქვილი კვლავ მუშაობს.



რეი ვაიტი და მაიკ ქვორი გვირგვინებს იზომებენ




მასხარა უფლისწულმა თავად ააწევინა ხელი გამარჯვებულ ჯიმი დუპრეს

## თხილამურები

# მინორული დასასრული მაჟორულ ტონალობაში





REUTERS რამსაუდან

მიკა მუილუილა

ისევ ისე ათოვდა რამსაუს სათხილამურო ტრასას, როგორც შარშან ნაგანოში; ისევ ის 30 კილომეტრი იყო გასარბენი; ისევე, როგორც ოლიმპიადაზე ნორვეგიელს, უარეს შემთხვევაში შვედს ელოდნენ ფინიშთან პირველს და, ისევე, როგორც შარშან, ოქროს მედალი ყველასთვის მოულოდნელად წილად ხვდა...

უძლიერესთა ჯგუფიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო თასის ნორვეგიელი ლიდერი ბიორნ დელი გაუდგა გზას. რაღა თქმა უნდა, რომ ყველა მისი მეტოქისთვის ცნობილი იყო ბოლო წლების აღიარებული ლიდერის „მოძრაობის გრაფიკი".

ნიშნული 1,5 კმ: ფინელი მიკა მუილუილა — 4.20, ავსტრიელი კრისტიან ჰოფმანი — 4.21, ბიორნ დელი 4.23.

ნიშნული 8,4 კმ: მუილუილა — 21.05, დელი — 21.10, ჰოფმანი — 21.26

ამ დროისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ სათხილამურო სპორტის ამომავალი ვარსკვლავი შვედი ელოფსონი ლიდერთა დავაში ველარ ჩაერეოდა; რომ უბერებელი ალექსეი პროკუროროვი ამ დღეს სავარჯიშოდ თუ სასეირნოდ გამოვიდა და მთავარ სამიზნედ 50 კმ-იანი რბოლა აირჩია; რომ ბიორნ დელის ერთობ მძიმე ბრძოლა ელოდა.

ნიშნული 15 კმ: მუილუილა უკვე 13 წამს უგებს დელის; მესამე შედეგი აქვს იტალიელ ვალბუზას, რომელიც თავის მხრივ 19 წამით ჩამორჩება ნორვეგიელს.

ცხადი ხდება, რომ ფინელის მორევა იოლი საქმე არ იქნება — შეუჩერებლად ბარდნის, ტრასა მძიმეა, ჰორიზონტზე კი თანდათან ოლიმპიური ნაგანოს იმ თოვლიანი დილის კონტურები იკვეთება. რა თქმა უნდა, კლასიკურსა და თავისუფალ სტილებს შორის საკმაო განსხვავებაა, მაგრამ ფინელს, როგორც ჩანს, ოლიპიადის შემდგომი წელიწადი უქმად არ დაუკარგავს და ეტყობა კიდეც, რომ საკმაოდ გაშინაურებია თავისუფალ სტილსაც.

ნიშნული 25 კმ: მუილუილა ისევ ზრდის სხვაობას, ახლა იგი 32 წამს უგებს ნორვეგიელს. დანარჩენი მდევრებიდან კი ნორვეგიელი ალსგარდილა ინარჩუნებს ტემპს. თანაგუნდელებს შორის სხვაობა სამ წამამდე შემცირდა.

პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვეტილია — ფინიშთან მომლოდინე ნორვეგიელმა გულშემატკივრებმა, როგორც იქნა დაიჯერეს: გამეორდება ნაგანოს სენსაცია, მათი კერპი კი, ეტყობა, ვერცხლის მედალსაც დაკარგავს...

ფინიში: აქ წამმზომიც არ არის საჭირო, ყველას სახეზე აწერია ყველაფერი: გახარებული მუილუილა ფინეთის დროშით ხელში; ალსგარდისა და დელის მშვიდი სახეები — თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლი და ბრინჯაო ამ სპორტსმენებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს; და კიდევ ერთი ცნობა, რომელსაც შედარებით მხიარული განწყობილება შეაქვს ამ პირველი სტარტის, ცოტა არ იყოს, სევდიან დასასრულში — სტარტიდან ბიორნ დელიზე ნახევარი საათით ადრე გასული სომეხი მოთხილამურეები მანუკიანი და ნერსესიანი ფინიშთან ნორვეგიელი ჩემპიონის შემდეგლა მიდიან. უხერხულია? როგორ გეკადრებათ — მთავარია მონაწილეობა.

**ირაკლი ბერიაშვილი**


REUTERS რამსაუდან

სტეფანია ბელმონდო

**რამსაუ. ავსტრია. სათხილამურო პრონი. მსოფლიოს ჩემპიონატი.**

30 კმ თავისუფალი სტილი.
კაცები

1 მიკა მუილუილა (ფინეთი) 1:15:26.2, 2 ტომას ალსგარდი (ნორვეგია) 1:16:01.5, 3 ბიორნ დელი (ნორვეგია) 1:16:08.7

15 კმ თავისუფალი სტილი.
ქალები

1 სტეფანია ბელმონდო (იტალია) 38:49.0, 2 კრისტინა სმიგუნი (ესტონეთი) 39:19.4, 3 მარია ტეურლი (ავსტრია) 39:43.5

## ჭიდაობა



საქართველოს ჩემპიონები (მარცხნიდან): ამირან სვანიძე, ემზარ მახარაძე, მალხაზ ნიშნიანიძე, ხვიჩა ბიჩინაშვილი, ჯამბულ ფუტკარაძე, თამაზ გოგელია, ბადრი ანთაძე, გენადი ჩხაიძე

# 76: ყველაზე მძიმე წონა

გლდანის ოლიმპიური სასწავლებლის სპორტდარბაზი ორი დღის მანძილზე მასპინძლობდა საქართველოს ჩემპიონატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომლის ჩატარებაც უფულობის გამო საერთოდ სათუო იყო. საბედნიეროდ, ცალკე დეპარტამენტმა, ცალკე კი ფედერაციამ ნასესხები თანხებით მისი გამართვა უზრუნველყვეს.

ჩემპიონატი, ხელმოკლეობის გამო ფედერაციამ გლდანში ჩაატარა. დედაქალაქურმა პროვინციამ მაყურებელი მრავლად მიიზიდა და ფალავნებმაც გაამართლეს იმედები. მათ მრავალი საინტერესო, დაძაბული და ლამაზი ორთაბრძოლა იხილეს. იყო აშკარა უპირატესობით მოგებული შეხვედრებიც (ისეთი, რომელშიც მხოლოდ ერთი მხარე ჩანდა და სრულყოფილად ავლენდა თავის კლასს) და ბოლო წამებზე, მეტოქისთვის ქულებით გამოგლეჯილი გამარჯვებებიც. ლამაზი ილეთებიც მრავლად იყო და ბევრი იმედისმომცემი ფალავანიც გამოჩნდა, მაგრამ ტურნირის უმთავრესი სენსაცია მაინც გუშინწინ, შეჯიბრების პირველ დღეს მძიმე წონაში მოხდა, როცა ახალგაზრდა თამაზ გოგელიამ ბევრისთვის მოულოდნელად წონის ლიდერი მირიან გიორგაძე დაამარცხა, რამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, სკანდალურად კი მახარაძე — ვახტანგაძის (85) ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა იქცა, რომელიც აჭარის დელეგაციამ (მუხრან ვახტანგაძე ბათუმელია) გააპროტესტა, თუმცა უშედეგოდ.

შეჯიბრება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ახალი წესებით ჩატარდა. ამ ახალ წესებს მომხრენიც ჰყავს და მოწინააღმდეგენიც. პირველნი თვლიან, რომ მათ ჭიდაობა უფრო სწრაფი გახადეს. მეორენი კი მიიჩნევენ, რომ სიახლეებმა სანახაობრივი მხარე შეიწირა. სამაგიეროდ, ყველა ერთსულოვანია კენჭისყრის პრინციპის უარყოფით შეფასებაში და სრულიად სამართლიანად — ჯგუფებში მონაწილეთა განაწილება ხდება ბრმა კენჭისყრით, ყოველგვარი განთესვის გარეშე. ამიტომ ხშირად ძლიერები ან ერთ ქვეჯგუფში ხვდებიან, ან ადრეულ ეტაპზე წყვილდებიან, შედარებით სუსტები კი იოლად მიიწევენ წინ.

ეს ზოგადად ტურნირზე, ახლა კი წონით კატეგორიებზეც ვთქვათ.

ყველაზე მსუბუქ წონაში — 54-ში სულ ხუთი მონაწილე გამოდიოდა და ამიტომ შეხვედრები წრიული სისტემით ჩატარდა. აქ ყველას ქუთაისელმა მალხაზ ნიშნიანიძემ აჯობა. 58-ში კობა გულიაშვილს არ უასპარეზია. მის არყოფნაში პირველობა არავის დაანება ბათუმელმა ჯამბულ ფუტკარაძემ, რომელმაც ფინალში ქულებით სუფთად მოუგო თბილისელ ირაკლი ჭოჭუას. მომდევნო, 63 კგ-ის ფინალშიც ბათუმელმა ბადრი ანთაძემ დრამატული ორთაბრძოლა 10:9 მოუგო ქუთაისელ კახა ცირამუას, რომელიც წაგების მიუხედავად ძალიან კარგ მოჭიდავედ წარმოჩნდა.

69 კგ წონას მისმა ლიდერებმა გიორგი ჭინჭველაშვილმა და ტარიელ მელელაშვილმა უგანეს (ზედა წონაში აინაცვლეს). მათი არყოფნით ყველაზე უკეთ ოზურგეთელმა ამირან სვანიძემ ისარგებლა და ჩემპიონობაც მოიპოვა — ფინალი 4:3 მოუგო გარდაბნელ ალექსანდრე დოხტურიშვილს, არადა თავიდან აგებდა.

76-ში ისედაც ევროპის ვიცე-ჩემპიონი, გარდაბნელი ხვიჩა ბიჩინაშვილი გამოდის და თანაქალაქელ მელელაშვილისა და ქუთაისელ ჯინჭველაშვილის შემატებით საერთოდ უძლიერესი წონა გახდა. მაგრამ დამხვდურმა მომხვდურთ არაფერი დაუთმო — ჯერ ფინალში გასასვლელი შეხვედრა ბრწყინვალედ მოუგო მელელაშვილს, ხოლო ფინალში წელმტკივანმა ჯინჭველაშვილმა არ იჭიდავა და ხვიჩაც ჩემპიონი გახდა.

85-ის ჩემპიონობა დიდი საპროტესტო ბატალიების გადამხდელმა ბაღდათელმა ემზარ მახარაძემ მოიპოვა. ბათუმელთა გუნდს მესამე ოქრო გენადი ჩხაიძემ მოუტანა, რომელმაც 97 კგ წონის ფინალში თბილისელი ფაია გაბელაია დაამარცხა. დაბოლოს, მძიმე წონა — 130 კგ, სადაც ყველაზე მსუბუქი წონის მსგავსად ხუთი მოჭიდავე გამოდიოდა და მათაც წრიულად იჭიდავეს. აქ თბილისელმა თამაზ გოგელიამ იმარჯვა, თანაც, ზემოთაც ვთქვით, სენსაციურად.

**ირაკლი თავაძე**

**ტექნიკური შედეგები**

54 კგ
1. მალხაზ ნიშნიანიძე (ქუთაისი)
2. კობა ბალავინოვი (ოზურგეთი)
3. რევაზ ლომაძე (ოზურგეთი)

58 კგ
1. ჯამბულ ფუტკარაძე (ბათუმი)
2. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი)
3. ალექსანდრე კუნჭულია (ბათუმი)

63 კგ
1. ბადრი ანთაძე (ბათუმი)
2. კახა ცირამუა (ქუთაისი)
3. ლევან ოდიშარია (თბილისი)

69 კგ
1. ამირან სვანიძე (ოზურგეთი)
2. ალექსანდრე დოხტურიშვილი (გარდაბანი)
3. გოჩა ბოცვაძე (სამტრედია)

76 კგ
1. ხვიჩა ბიჩინაშვილი (გარდაბანი)
2. გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი)
3. ტარიელ მელელაშვილი (გარდაბანი)

85 კგ
1. ემზარ მახარაძე (ბაღდათი)
2. გიორგი რურუა (აფხაზეთი)
3. ბაჩუკი ქარდავა (თბილისი)

97 კგ
1. გენადი ჩხაიძე (ბათუმი)
2. ფაია გაბელაია (თბილისი)
3. ზაზა სილაგაძე (თბილისი)

130 კგ
1. თამაზ გოგელია (თბილისი)
2. მირიან გიორგაძე (თერჯოლა)
3. გიორგი წურწუმია (თბილისი)

## ჰოკეი

# NHL დათვებმა დაიძინეს

18 თებერვალი

**ფილადელფია — მონრეალი 1:3**

0:0 1:1 0:2

0:1 რეკი 24'46 (11); 1:1 ლინდროსი 28'18 (33); 1:2 ჟოლტოკი 41'18 (5); 1:3 კოივუ 53'24 (11)

ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. 1995 წლის თებერვალში ამ კლუბებს შორის განხორციელებული გრანდიოზული გაცვლის შემდეგ სულ სხვაგვარი ურთიერთობა დამყარდა — ცნობილი პროფესორისა და გამოუცდელი სტუდენტის დამოკიდებულების მსგავსი. თანაც პირველის როლში ფილადელფია მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც „კანადელთა" რიგებიდან გადასული ჯონ ლეკლერი (ყოფილ თანაკლუბელებთან 18 თამაშში 30 ქულა მიითვალა) მრისხანე მეგოლედ იქცა. სწორედ მან და მისმა მუდმივმა პარტნიორმა ერიკ ლინდროსმა გააწამეს მეტოქე. ლეკლერის ნაცვლად მონრეალში გადასულმა მარკ რეკიმ კი, რომელიც თავის დროზე გაცილებით დიდ ოსტატად ითვლებოდა, ყოფილ თანაგუნდელებს ვერაფერი დააკლო. თუმც რეკიმ და მისმა პარტნიორებმა გადაწყვიტეს, 18 თებერვალს ჯავრი ამოეყარათ და მართალია, ოთხი წლის შემდეგ, მაგრამ მაინც მიაღწიეს მიზანს. სტუმრებმა, რომელთაც ამჟამად გაცილებით მეტად სჭირდებათ ქულები, შეუძლებელი შეძლეს და დამსახურებულადაც მოიგეს, თანაც რეკიმ 2 (1+1) ქულა ჩაიწერა. მასპინძელთა ერთადერთი ნუგეში ლინდროსის გოლი გახლდათ, რომელმაც ზედიზედ მე-18 შედეგიანი თამაშით კლუბის რეკორდი გაიმეორა.

**კაროლინა — ვაშინგტონი 2:2**

0:1 1:1 1:0 0:0

0:1 გონჩარი 5'41 (11); 0:2 ჟიუნო 20'41 (13); 1:2 პრიმო 24'10 (24); 2:2 ბატალია 57'19 (4)

სტუმრები მატჩის შემდეგ კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი თამაშით. მათი მწვრთნელი რონ უილსონიც ნასიამოვნები გახლდათ ქულის მოპოვებით. მართალია, თავიდან ვაშინგტონელები 2:0 იგებდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში ძლივს გაუმკლავდნენ კაროლინელთა შეტევებს და მხოლოდ მეკარე ოლაფ კოლციგის დამსახურებაა, რომ ერთ გოლზე მეტი არ გაუშვეს. მასპინძელთა სახელოვანმა მცველმა პოლ კოფიმ კარიერაში 1100-ე პასი გააკეთა.

**ლოს ანჯელესი — ედმონტონი 3:2**

3:2 0:0 0:0

1:0 ბუშე 2'00 (1); 2:0 რობიტაილი 5'15 (30); 2:1 სელივანოვი 12'38 (10); 2:2 სელივანოვი 14'50 (11); 3:2 დიუშენი 17'52 (4)

ასეც ხდება: „მეფეთა" მცველმა ფილიპ ბუშემ (1+2) ერთი პერიოდის განმავლობაში მთელ სეზონში მოპოვებული ქულათა მარაგი გააორმაგა, თანაც გუნდსაც დაეხმარა მოგებაში. სტუმრებს ალექსანდრ სელივანოვის დუბლმაც ვერ უშველა.

**სენტ ლუისი — ფლორიდა 0:0**

ბოსტონელთა მთავარ კონკურენტებს, ფლორიდელ პანტერებს, სანამ მთავარი დამრტყმელი ძალა, პაველ ბურე აკლიათ, ბევრი ვერ გააქვთ, მაგრამ მეტოქესაც არ ახეირებენ და საჭირო ქულებს იმატებენ.

**ოტავა — ბოსტონი 2:0**

2:0 0:0 0:0

1:0 ალფრედსონი 1'17 (7); 2:0 იაშინი 6'21 (27)

ბოსტონელი დათვები, როგორც ჩანს, ზამთრის ძილს მიეცნენ. ბოლო 18 მატჩში მათ მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვეს და საპლეიოფო ოქტეტში ადგილიც დაკარგეს. გარდა ამისა, მათ აღმოსავლეთის ბევრ გუნდს მისცეს თასისთვის ბრძოლის შანსი. ოტავაში სტუმრები თითქოს გამოცოცხლდნენ, მაგრამ მასპინძელთა მეკარე რონ ტაგნატს (30 მოგერიება) ვერაფერი მოუხერხეს.

**სამველ ღარიბიანი**


REUTERS ოტავადან

ოტავა — ბოსტონი. ოტაველმა მარიან ჰოსამ ბოსტონელ აარონ კარტერს კარში უკრა თავი

## დიმიტრი წარბგახეთქილი




ტორონტოს მცველი დიმიტრი იუშკევიჩი არასოდეს მიეკუთვნებოდა „პოლიციელთა“ კოჰორტას და შეხლა-შემოხლასაც ყოველთვის თავს არიდებდა. თუმცა ჩხუბისთავებს რა დალევს და ბუფალოსთან მატჩში, რუსი ჰოკეისტი უსიამოვნო ინციდენტს მაინც ვერ გადაურჩა. „ხმლების“ ფორვარდმა ბრაიან ჰოლცინგერმა მას ყვანჯით წარბი გაუხეთქა, თანაც ისე მალულად, არბიტრებს არაფერი შეუმჩნევიათ და მასპინძელსაც ეს ამბავი ხაზვივით შერჩა. მეტოქის თავხედობითა და ასეთი განუკითხაობით შეძრწუნებულ იუშკევიჩს კი ისღა დარჩენოდა, დასისხლიანებულ თვალზე ხელი მოეკიდა და შეემოწმებინა, თვალის ჩინი ხომ არ დავკარგეო.

# კიდევ?

## კიგანს ნაკრების მწვრთნელობა გაუტკბა

კევინ კიგანმა ინგლისის ნაკრებს შესაძლოა კიდევ დიდხანს უთავკაცოს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასა და კიგანს შორის რამდენიმე დღის წინ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თავის დროზე ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელ კიგანს ქვეყნის პირველი გუნდი მომავალი ოთხი თვის განმავლობაში უნდა გაეწვრთნა.

— შესაძლოა, გუნდის სათავეში უფრო დიდხანს დავრჩე, ვიდრე ახლაა გათვალისწინებული. ჩემი ინგლისის ნაკრების სათავეში ყოფნა მომავალ შეხვედრებზეა დამოკიდებული — თუ გუნდმა ამ ხნის განმავლობაში კარგად ითამაშა, დავრჩები, თუ არა, წავალ — ეს ყველაფერი კიგანმა წუხელ განუცხადა რადიოსადგურ **BBC**-ის.

შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის თანახმად კევინ კიგანს ნაკრებისთვის ოთხ შეხვედრაში უნდა ეთავკაცა.

კარსმომდგარი თამაშებიდან ინგლისელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამი მატჩი პოლონეთთან, ბულგარეთთან და შვედეთთან.




REUTERS ვოლფსბურგიდან

ვოლფსბურგი — ჰანზა 1:1. მასპინძელი ბალვანცისა (№8) და სტუმარი მაიაკის ორთაბრძოლა

### გერმანია

ბუნდესლიგა

XIX ტური

ვოლფსბურგი 1:1 ჰანზა

0:1 რემერი (36), 1:1 ნოვაკი (81)

ბოხუმი — ჰამბურგი

გადაიდო უამინდობის გამო

### საფრანგეთი

თასის მეთექვსმეტედფინალი

ვასკალი (II) 0:2 მეცი

ლე მანი (II) 2:0 რენი

სენ ჟორჟი (V) 1:0 სოშო

ოაჩიო (III) 1:1 ტროა (პენ. 1:3)

### ინგლისი

პირველი დივიზიონი

XXXII ტური

შეფილდ იუნ. 2:2 ბრედფორდი

1:0 ვუდჰაუსი (16), 1:1 ბლეიკი (32), 2:1 მარსელო (66), 2:2 ბლეიკი (82)

### თურქეთი

XXI ტური

სამსუნი 1:1 ფენერბაჰჩე

### პორტუგალია

XXIII ტური

სპორტინგი 2:0 რიუ ავე



REUTERS მეხიკოდან

# სადა ხარ, მამა?

მექსიკის ნაკრების მეკარის, ხორხე კამპოსის (მარჯვენა ფოტოზე) მამა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს და მის სანაცვლოდ გამოსასყიდი მოითხოვეს. ალვარო კამპოსი, ხორხეს მამა (მარცხენა ფოტოზე), შინ ბრუნდებოდა, როცა მავანი ნიღაბაფარებული ავისმქმნელები წინ გადაუდგნენ და იარაღის მუქარით სხვა მანქანაში გადასვეს. აგერ უკვე ოთხი დღეა, მისი არაფერი ისმის. შეშფოთებული ხორხე, რომელიც აზიაში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, ამბის გაგებისთანავე შინ გაემგზავრა. მეხიკოს ერთ-ერთი რადიოს განცხადებით, მეკარის მამის გატაცების საქმის გამოძიება ქალაქის პოლიციამ უკვე დაიწყო. ცნობისთვის: ცნობილი პიროვნებების ახლობელთა გატაცება მექსიკაში უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. შარშან სახელგანთქმულ მომღერალს, ვისენტე ფერნანდესს გამტაცებლებმა მილიონამდე დოლარი გადაახდევინეს პატარა ვაჟიშვილის გამოსახსნელად. ფერნანდესების ოჯახმა შვილის მოტაცების ამბავი მხოლოდ მისი უკან დაბრუნების შემდეგ გაამხილა.



REUTERS მეხიკოდან

## წიგნი გადაშალეთ, ეგრე აჯობებს

ამერიკელებს სურთ, რომ მათი ბავშვები ბირჟებზე დგომის ნაცვლად წიგნებთან ისხდნენ. ამერიკელ ბავშვებს სურთ, რომ ისეთივე მაგარი კეტბურთელები გახდნენ, როგორიც სენტ ლუისელი მარკ მაკგუაიერია. მაკგუაიერს კი არც კეტის დაწვა უნდა და არც შამფურის — იგი მორჩილად მონაწილეობს საქველმოქმედო პროგრამაში, რომელსაც „ბირჟებიდან წიგნებისკენ“ ჰქვია და პატარა ბიჭუკელებს თავისი ავტოგრაფებიანი წიგნებით აბედნიერებს.



REUTERS ვესტ პალმ ბიჩიდან



## ამ ო ჯეიმ ხო...

ტომ კრისმანს საკუთარი ფოლადჩამომსხმელი კომპანია აქვს და ამ საპატიო მიზეზის გამო, იმ სისულელისთვის, ახლა ხელში რომ უჭირავს, 230 ათასი დოლარი დაუნანებლად ემეტაბა. თუმცა, ო ჯეი სიმპსონის ნაქონი ეგებ სისულელეც სულაც არ იყოს... ასეა თუ ისე, 47 წლის ბიზნესმენმა ხსენებული თანხა დიდი მობურთალის ხარახურის აუქციონზე დახარჯა და როგორც თავად ამბობს, ამით ძალიან ბედნიერიცაა. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

## სანამ თხილამურებზე შევდგებოდეთ

ასე უცნაურად გუშინ რამსაუში, თხილამურობის მსოფლიოს პირველობის გახსნის ცერემონიალზე ცეკვავდნენ. ეს ცეკვა მომავალი ტურნირის სხვადასხვა მომენტებსაც შეიცავდა. აი, ასე, მაგალითად, ტრამპლინიდან მხტომელები ცოდვილ მიწას დაახტებიან.



REUTERS რამსაუდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29